

**სს „საქართველოს ბანკის“ და მისი  
შვილობილი კომპანიების  
კონსოლიდირებული ფინანსური  
ანგარიშგება**

*2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

**შინაოსი**

**ღამოუპიღებელი აუდიტორების ღასკვნა**

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... 2  
მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... 3  
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... 5  
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... 6  
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... 7

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანღართული შენიშვნები**

1. ძირითადი საქმიანობა ..... 11  
2. მომზადების საფუძველი ..... 12  
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა ..... 15  
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები ..... 38  
5. საწარმოთა გაერთიანება ..... 40  
6. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ ..... 42  
7. ფული და ფულის ეკვივალენტები ..... 48  
8. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ..... 48  
9. გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ..... 48  
10. კლიენტებზე გაცემული სესხები ..... 49  
11. მოთხოვნები ფინანსური იჯაროდან ..... 52  
12. საინვესტიციო ქონება ..... 53  
13. ძირითადი საშუალებები ..... 54  
14. გუდვილი ..... 56  
15. გადასახადები ..... 58  
16. სხვა აქტივები და სხვა ვალდებულებები ..... 61  
17. ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე ..... 62  
18. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე ..... 63  
19. პირობითი ვალდებულებები ..... 65  
20. კაპიტალი ..... 66  
21. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან ..... 69  
22. წმინდა სადაზღვევო შემოსავალი ..... 69  
23. ჯანდაცვიდან წმინდა შემოსავალი ..... 70  
24. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები ..... 70  
25. წმინდა არასაოპერაციო ხარჯები ..... 71  
26. წილობრივი გადასახადები ..... 71  
27. რისკების მართვა ..... 72  
28. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ..... 86  
29. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ..... 89  
30. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები ..... 92  
31. კაპიტალის ადეკვატურობა ..... 94

## დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

[●]4 აპრილი, 2013 წ.

**2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2012	2011	2010
<b>აქტივები</b>				
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	750,517	628,731	611,584
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	8	396,559	289,530	116,469
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:				
- გასაყიდად არსებული	9	534,698	419,576	294,940
- დაფარვის ვადამდე ფლობილი		-	-	21
კლიენტებზე გაცემული სესხები	10	3,033,667	2,553,442	2,351,697
მოთხოვნები ფინანსური იჯაროდან	11	71,686	62,919	14,419
ინვესტიციები მოკავშირე საწარმოებში		2,441	3,014	5,632
საინვესტიციო ქონება	12	160,353	101,686	113,496
ძირითადი საშუალებები	13	430,877	348,110	285,852
არამატერიალური აქტივები		23,078	21,222	22,390
გუდვილი	14	45,657	46,195	69,212
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივები		944	8,487	2,247
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები		14,352	14,852	18,178
გადახდილი ავანსები		41,147	29,929	23,365
სხვა აქტივები	16	221,042	137,568	75,420
<b>სულ აქტივები</b>		<b>5,727,018</b>	<b>4,665,261</b>	<b>4,004,922</b>
<b>ვალდებულებები</b>				
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	17	2,693,025	2,735,222	2,026,308
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	18	1,657,162	921,172	1,138,927
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები		13,818	1,174	4,251
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები		48,320	36,242	30,901
რეზერვები	19	683	386	4,407
სხვა ვალდებულებები	16	184,224	158,462	106,787
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>4,597,232</b>	<b>3,852,658</b>	<b>3,311,581</b>
<b>კაპიტალი</b>	20			
სააქციო კაპიტალი		36,513	32,878	31,345
დამატებით შეტანილი კაპიტალი		615,627	473,732	477,285
სახაზინო აქციები		(464)	(3,146)	(1,510)
სხვა რეზერვები		25,821	14,478	26,816
გაუნაწილებელი მოგება		408,538	254,588	130,314
<b>ჯგუფის აქციონერებისთვის განკუთვნილი მთლიანი კაპიტალი</b>		<b>1,086,035</b>	<b>772,530</b>	<b>664,250</b>
არამაკონტროლებელი წილის მფლობელები		43,751	40,073	29,091
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>1,129,786</b>	<b>812,603</b>	<b>693,341</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>5,727,018</b>	<b>4,665,261</b>	<b>4,004,922</b>

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ

ირაკლი გილაური

აღმასრულებელი დირექტორი

დავით ვახტანგიშვილი

ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები გვერდებზე 9-71 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

**2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

*(ათას ლარში)*

4 აპრილი, 2013 წ.

**2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნა</i>	<b>2012</b>	<b>2011</b>	<b>2010</b>
<b>საპროცენტო შემოსავალი</b>				
კლიენტებზე გაცემული სესხები		509,339	438,989	389,402
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები – გასაყიდად არსებული		33,950	37,701	7,287
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		15,813	18,103	9,795
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან		8,701	6,565	4,159
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები – დაფარვის ვადამდე		–	–	12,498
		<b>567,803</b>	<b>501,358</b>	<b>423,141</b>
<b>საპროცენტო ხარჯი</b>				
ვალდებულებები კლიენტების წინაშე		(202,484)	(167,294)	(114,968)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		(79,492)	(99,763)	(91,829)
		<b>(281,976)</b>	<b>(267,057)</b>	<b>(206,797)</b>
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სვოპებიდან მოგებამდე (დანაკარგამდე)</b>		<b>285,827</b>	<b>234,301</b>	<b>216,344</b>
წმინდა მოგება (დანაკარგი) საპროცენტო სვოპებიდან		(1,710)	4,984	(7,826)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>284,117</b>	<b>239,285</b>	<b>208,518</b>
შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან		109,278	93,541	74,265
გასამრჯელო და საკომისიო ხარჯი		(22,210)	(18,204)	(10,845)
<b>წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან</b>	21	<b>87,068</b>	<b>75,337</b>	<b>63,420</b>
წმინდა გამომუშაებული სადაზღვევო პრემიები		91,176	46,396	44,561
წმინდა სადაზღვევო მოთხოვნები		(57,038)	(28,658)	(27,898)
<b>წმინდა სადაზღვევო შემოსავალი</b>	22	<b>34,138</b>	<b>17,738</b>	<b>16,663</b>
ჯანდაცვიდან შემოსავალი		54,376	5,700	2,208
ჯანდაცვის მომსახურებების ღირებულება		(31,030)	(3,242)	(1,632)
<b>სულ ჯანდაცვიდან შემოსავალი</b>	23	<b>23,346</b>	<b>2,458</b>	<b>576</b>
საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი		41,533	22,470	18,144
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(30,868)	(12,109)	(9,050)
<b>საქონლის გაყიდვიდან წმინდა შემოსავალი</b>		<b>10,665</b>	<b>10,361</b>	<b>9,094</b>
გასაყიდად არსებული სავაჭრო და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული წმინდა მოგება		2,308	1,382	2,006
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული წმინდა მოგება (ზარალი)	12	–	1,984	350
უხოური ვალუტიდან მიღებული წმინდა მოგება: – ვაჭრობიდან		33,389	45,694	33,651
– საკურსო სხვაობები		16,182	30,747	98
სხვა საოპერაციო მოგება		7,623	8,767	10,625
<b>სხვა საოპერაციო არა-საპროცენტო მოგება</b>		<b>59,502</b>	<b>88,574</b>	<b>46,730</b>
<b>შემოსავალი</b>		<b>498,836</b>	<b>433,753</b>	<b>345,001</b>
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	24	(121,299)	(114,622)	(103,885)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	24	(65,686)	(61,942)	(60,568)
ცვეთა და ამორტიზაცია		(28,606)	(27,254)	(27,963)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(2,949)	(6,347)	(5,719)
<b>საოპერაციო ხარჯები</b>		<b>(218,540)</b>	<b>(210,165)</b>	<b>(198,135)</b>
<b>საოპერაციო მოგება საკრედიტო რისკის ხარჯამდე</b>		<b>280,296</b>	<b>223,588</b>	<b>146,866</b>

თანდართული შენიშვნები გვერდებზე 9-71 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

**2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2012	2011	2010
<b>საოპერაციო მოგება სარედიტო რისკის ხარჯამდე</b>		<b>280,296</b>	<b>223,588</b>	<b>146,866</b>
გაუფასურების ხარჯი კლიენტების კრედიტებზე (გაუფასურების ხარჯები) ფინანსური იჯაროდან მოთხოვნების გაუფასურების ხარჯის უკუგატარება	10	(39,186)	(23,216)	(49,886)
გაუფასურების ხარჯის უკუგატარება (ხარჯი) აქტივებსა და ანარიცხებზე	11	(495)	(317)	5,775
<b>საკრედიტო რისკის ხარჯი</b>		<b>(44,717)</b>	<b>(22,196)</b>	<b>(47,698)</b>
<b>წმინდა საოპერაციო მოგება</b>		<b>235,579</b>	<b>201,392</b>	<b>99,168</b>
წმინდა არასაოპერაციო ხარჯები	25	(19,634)	(29,338)	(725)
<b>მოგება უწყვეტი ოპერაციებიდან მოგების გადასახადის დანახარჯამდე</b>		<b>215,945</b>	<b>172,054</b>	<b>98,443</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	15	(33,200)	(21,125)	(15,776)
<b>წლის მოგება უწყვეტი ოპერაციებიდან</b>		<b>182,745</b>	<b>150,929</b>	<b>82,667</b>
წმინდა ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან		–	(15,219)	–
<b>წლის მოგება</b>		<b>182,745</b>	<b>135,710</b>	<b>82,667</b>
<b>განკუთვნილი :</b>				
– ჯგუფის აქციონერებისათვის		178,921	132,531	83,640
– არამაკონტროლებელი წილის მფლობელებისათვის		3,824	3,179	(973)
		<b>182,745</b>	<b>135,710</b>	<b>82,667</b>
<b>შემოსავალი ერთ აქციაზე, სულ:</b>	20			
– საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე		5.3986	4.4375	2.7846
– განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე		5.3474	4.1957	2.7388
<b>შემოსავალი ერთ აქციაზე უწყვეტი ოპერაციებიდან:</b>	20			
– საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე		5.3986	4.9470	2.7846
– განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე უწყვეტი ოპერაციებიდან		5.3474	4.6499	2.7388

თანდართული შენიშვნები გვერდებზე 9-71 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

**2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(ათას ლარში)

	შენიშ გნა	2012	2011	2010
<b>წლის მოგება უწყვეტი ოპერაციებიდან</b>		<b>182,745</b>	<b>150,929</b>	<b>82,667</b>
წმინდა ზარალი შეწყვეტილი ოპერაციების შედეგად		–	(15,219)	–
<b>წლის მოგება</b>		<b>182,745</b>	<b>135,710</b>	<b>82,667</b>
<b>სხვა სრული შემოსავალი (ზარალი) უწყვეტი ოპერაციებიდან</b>				
– ძირითადი საშუალებების გადაფასება	13	–	1,285	(2,859)
– გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდების გადაფასება		16,580	3,511	6,077
– გასაყიდად არსებულ ფასიან ქაღალდებზე რეალიზებული შემოსულობა რეკლასიფიცირებული მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში		(2,075)	(1,721)	(789)
– სავალუტო სხვაობებით გამოწვეული მოგება (ზარალი)		(288)	(52,493)	5,116
სხვა სრული შემოსავლების კომპონენტებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი	15	(2,826)	5,581	206
<b>წლის სხვა სრული შემოსავალი (ზარალი) უწყვეტი ოპერაციებიდან, გადასახადის გათვალისწინებით</b>		<b>11,391</b>	<b>(43,837)</b>	<b>7,751</b>
სხვა სრული შემოსულობა შეწყვეტილი ოპერაციებიდან		–	24,254	–
<b>წლის სხვა სრული შემოსავალი (ზარალი), გადასახადის გათვალისწინებით</b>		<b>11,391</b>	<b>(19,583)</b>	<b>7,751</b>
წლის მთლიანი სრული შემოსავალი უწყვეტი ოპერაციებიდან		194,136	107,092	90,418
წლის მთლიანი სრული შემოსავალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან		–	9,035	–
<b>სულ წლის სრული შემოსავალი</b>		<b>194,136</b>	<b>116,127</b>	<b>90,418</b>
<b>განკუთვნილი :</b>				
– ჯგუფის აქციონერებისათვის		190,653	121,045	89,830
– არამაკონტროლებელი წილის მფლობელებისთვის		3,483	(4,918)	588
		<b>194,136</b>	<b>116,127</b>	<b>90,418</b>

თანდართული შენიშვნები გვერდებზე 9-71 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



**2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(ათას ლარში)

	განკუთვნილება ჯგუფის აქციონერებს					სულ	კონტროლის არ მქონეთა წილი	სულ კაპიტალი
	სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	სახაზინო აქციები	სხვა რეზერვები	გაუნაწილ- ებული მოგება			
<b>31 დეკემბერი, 2009 წ.</b>	<b>31,306</b>	<b>478,779</b>	<b>(1,677)</b>	<b>24,387</b>	<b>46,163</b>	<b>578,958</b>	<b>19,459</b>	<b>598,417</b>
სულ სრული შემოსავალი	-	-	-	7,942	81,888	89,830	588	90,418
გადაფასების რეზერვის ცვეთა, გადასახადების გათვალისწინებით	-	-	-	(2,263)	2,263	-	-	-
წილობრივი გადახდების შედეგად სააქციო კაპიტალის ზრდა (შენიშვნა 20)	39	8,497	610	-	-	9,146	-	9,146
არსებულ შვილობილ კომპანიებში არასაკონტროლო პაკეტის მფლობელი აქციონერების მიერ დამატებითი წილების შეძენა	-	-	-	-	-	-	11,973	11,973
არსებულ შვილობილ კომპანიებში არასაკონტროლო პაკეტის შეძენა	-	-	-	(3,250)	-	(3,250)	(6,854)	(10,104)
არა-საკონტროლო პაკეტის მფლობელთა წილი წარმოქმნილი შვილობილი კომპანიის შეძენის შედეგად	-	-	-	-	-	-	3,925	3,925
სახაზინო აქციების გაყიდვა	-	7,104	448	-	-	7,552	-	7,552
სახაზინო აქციების შესყიდვა	-	(17,095)	(891)	-	-	(17,986)	-	(17,986)
<b>31 დეკემბერი, 2010 წ.</b>	<b>31,345</b>	<b>477,285</b>	<b>(1,510)</b>	<b>26,816</b>	<b>130,314</b>	<b>664,250</b>	<b>29,091</b>	<b>693,341</b>
სულ სრული შემოსავალი	-	-	-	(9,208)	130,253	121,045	(4,918)	116,127
გადაფასების რეზერვის ცვეთა, გადასახადების გათვალისწინებით	-	-	-	(3,190)	3,190	-	-	-
წილობრივი გადახდების შედეგად სააქციო კაპიტალის ზრდა (შენიშვნა 20)	33	2,716	148	-	-	2,897	-	2,897
გლობალური სადეპოზიტო ხელწერილების გამოშვების შედეგად სააქციო კაპიტალის ზრდა (შენიშვნა 20)	1,500	-	(1,500)	-	-	-	-	-
ბანკის აქციონერებისთვის განკუთვნილი დივიდენდები (შენიშვნა 20)	-	-	-	-	(9,169)	(9,169)	-	(9,169)
არსებულ შვილობილ კომპანიებში არასაკონტროლო პაკეტის მფლობელი აქციონერების მიერ დამატებითი წილების შეძენა	-	-	-	60	-	60	2,453	2,513
არა-საკონტროლო პაკეტის მფლობელთა წილი წარმოქმნილი შვილობილი კომპანიის შეძენის შედეგად	-	-	-	-	-	-	13,447	13,447
სახაზინო აქციების გაყიდვა	-	26,777	1,268	-	-	28,045	-	28,045
სახაზინო აქციების შესყიდვა	-	(33,046)	(1,552)	-	-	(34,598)	-	(34,598)
<b>31 დეკემბერი, 2011 წ.</b>	<b>32,878</b>	<b>473,732</b>	<b>(3,146)</b>	<b>14,478</b>	<b>254,588</b>	<b>772,530</b>	<b>40,073</b>	<b>812,603</b>
სულ სრული შემოსავალი	-	-	-	12,058	178,595	190,653	3,483	194,136
გადაფასების რეზერვის ცვეთა, გადასახადის გათვალისწინებით	-	-	-	(622)	622	-	-	-
წილობრივი გადახდების შედეგად სააქციო კაპიტალის ზრდა	-	30,213	602	-	-	30,815	-	30,815
სააქციო კაპიტალის გამოშვება (შენიშვნა 20)	3,635	70,313	-	-	-	73,948	-	73,948
აქციების კონვერტაცია სატენდერო შეთავაზების შემდეგ	-	54,458	2,507	-	-	56,965	-	56,965
გარიგების ხარჯები აღიარებული პირდაპირ კაპიტალში	-	(3,325)	-	-	-	(3,325)	-	(3,325)
ბანკის აქციონერებისთვის განკუთვნილი დივიდენდები (შენიშვნა 20)	-	-	-	-	(25,267)	(25,267)	-	(25,267)
პროცენტის განზავება შვილობილ კომპანიებში	-	-	-	15	-	15	128	143
არსებულ შვილობილ კომპანიებში არასაკონტროლო პაკეტის მფლობელი აქციონერების მიერ დამატებითი წილების	-	-	-	(86)	-	(86)	749	663

თანდართული შენიშვნები გვერდებზე 9-71 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სს „საქართველოს ბანკი“ და შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
**კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება**

**2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

*(ათას ლარში)*

შექენა								
არსებულ შვილობილ კომპანიებში								
არასაკონტროლო პაკეტის	-	-	-	(22)	-	(22)	(682)	(704)
შექენა								
სახაზინო აქციების გაყიდვა	-	89	5	-	-	94	-	94
სახაზინო აქციების შესყიდვა	-	(9,853)	(432)	-	-	(10,285)	-	(10,285)
<b>31 დეკემბერი, 2012 წ.</b>	<b>36,513</b>	<b>615,627</b>	<b>(464)</b>	<b>25,821</b>	<b>408,538</b>	<b>1,086,035</b>	<b>43,751</b>	<b>1,129,786</b>

თანდართული შენიშვნები კვერდებზე 9-71 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

**2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(ათას ლარში)

	შენიშნა	2012	2011	2010
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>				
მიღებული პროცენტი		553,090	494,782	412,407
გადახდილი პროცენტი		(270,691)	(244,478)	(194,622)
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო		109,278	93,541	74,265
გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო		(22,210)	(18,204)	(10,845)
მიღებული სადაზღვევო პრემიები		79,007	46,070	46,159
ანაზღაურებული სადაზღვევო მოთხოვნები		(55,197)	(26,106)	(32,007)
ჯანდაცვიდან მიღებული შემოსავალი		54,376	5,700	2,208
გადახდილი ჯანდაცვის მომსახურებების ღირებულება		(31,030)	(3,242)	(1,632)
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		41,533	22,470	18,144
საქონლის რეალიზაციის ხარჯები		(30,868)	(12,109)	(9,050)
საეჭრო ფასიანი ქაღალდებიდან წმინდა რეალიზებული მოგება (ზარალი)		375	(236)	2,267
წმინდა რეალიზებული მოგება გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისგან		2,075	1,721	789
წმინდა რეალიზებული მოგება უცხოური ვალუტიდან		33,389	45,694	33,651
ადრე ჩამოწერილი კლიენტებზე გაცემული სესხების დაფარვა	10	29,979	28,849	42,739
სხვა მიღებული საოპერაციო შემოსავალი (გადახდილი დანახარჯები)		5,949	15,266	(1,819)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(109,383)	(96,011)	(93,204)
გადახდილი საერთო, ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯი		(67,970)	(69,269)	(70,906)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>		<b>321,702</b>	<b>284,438</b>	<b>218,544</b>
<i>წმინდა (ზრდა) კლება საოპერაციო აქტივებში</i>				
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		(99,925)	(179,682)	(45,090)
კლიენტებზე გაცემული სესხები		(575,378)	(239,413)	(813,482)
მოთხოვნები ფინანსური იჯაროდან		(9,262)	(49,095)	8,252
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები		(59,301)	(63,668)	100
<i>წმინდა (ზრდა) კლება საოპერაციო ვალდებულებებში</i>				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		761,167	(213,068)	190,994
ვალდებულებები კლიენტების წინაშე		(52,871)	708,242	731,184
სხვა ვალდებულებები		(28,243)	(32,707)	21,981
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადის გადახდამდე</b>		<b>257,889</b>	<b>215,047</b>	<b>312,483</b>
გადახდილი მოგების გადასახადი		(3,282)	(7,000)	(3,144)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან</b>		<b>254,607</b>	<b>208,047</b>	<b>309,339</b>
<b>საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული (გამოყენებული) ფულადი ნაკადები</b>				
შვილობილი კომპანიების შექმნა, მიღებული ნაღდი ფულის გამოკლებით	5	(9,008)	408	(139)
შვილობილი კომპანიის გაყიდვიდან შემოსავალი		–	8,747	–
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან შემოსავლები:		221,973	20,625	1,518
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა:		(265,320)	(138,529)	(28,769)
მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების გაყიდვიდან შემოსავლები		170	332	–
შემოსავალი საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან	12	15,622	7,889	5,490
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან შემოსავლები		–	–	13,312
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შექმნა		(60,880)	(76,239)	(41,839)
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>(97,443)</b>	<b>(176,767)</b>	<b>(50,427)</b>

თანდართული შენიშვნები გვერდებზე 9-71 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

**2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2012	2011	2010
<b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული (გამოყენებული) ფულადი ნაკადები</b>				
გადახდილი დივიდენდები		(25,267)	(9,169)	–
სახაზინო აქციების შეძენა		(10,285)	(34,598)	(17,986)
სახაზინო აქციების გაყიდვა		94	28,044	7,552
არსებულ შვილობილ კომპანიების არასაკონტროლო პაკეტის გაყიდვიდან შემოსავლები		663	2,453	–
დამატებითი წილის შეძენა არასაკონტროლო პაკეტის მქონე აქციონერების მიერ		–	–	11,973
დამატებითი წილის შეძენა არსებულ შვილობილ კომპანიებში, მიღებული ნაღდი ფულის გამოკლებით		(704)	–	(6,854)
<b>ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>(35,499)</b>	<b>(13,270)</b>	<b>(5,315)</b>
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		121	(863)	98
<b>ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა</b>		<b>121,786</b>	<b>17,147</b>	<b>253,695</b>
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	<u>628,731</u>	<u>611,584</u>	<u>357,889</u>
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	<u><u>750,517</u></u>	<u><u>628,731</u></u>	<u><u>611,584</u></u>

თანდართული შენიშვნები კვერდებზე 9-71 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

(ათას ლარში)

## 1. ძირითადი საქმიანობა

სს „საქართველოს ბანკი“ („ბანკი“) დაფუძნდა 1994 წლის 21 ოქტომბერს, სააქციო საზოგადოების სახით („სს“), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ბანკი მუშაობს საქართველოს ეროვნული ბანკის („სეპ“, საქართველოს ცენტრალური ბანკი) მიერ 1994 წლის 15 დეკემბერს გაცემული ზოგადი საბანკო საქმიანობის ლიცენზიის შესაბამისად.

ბანკი იღებს დეპოზიტებს საზოგადოებისაგან და გასცემს კრედიტს, ახორციელებს გადარიცხვებს როგორც საქართველოს ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლას მისი სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველო. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს აქვს 194 სერვის ცენტრი საქართველოს ყველა დიდ ქალაქში (2011 წლის 31 დეკემბერი: 158, 2010 წლის 31 დეკემბერი: 142). ბანკის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0160, გაგარინის ქუჩა 29ა.

საქართველოს ბანკი არის საქართველოსა და ბელორუსიაში, რეგისტრირებული კომპანიათა ჯგუფის („ჯგუფი“) მშობელი კომპანია. ჯგუფის უმთავრესი საქმიანობაა საბანკო, სალიზინგო, სადაზღვევო, საბროკერო საქმიანობები, აქტივებისა და ქონების მართვის მომსახურების გაწევა კორპორაციული და ინდივიდუალური კლიენტებისათვის. ჯგუფის შემადგენელი კომპანიების სია მოცემულია მე-2 შენიშვნაში.

2011 წლის დეკემბერში, საქართველოს ბანკის ჰოლდინგმა („BGH“), ინგლისსა და უელსში ახლად დაფუძნებულმა ღია ტიპის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიამ, წამოიწყო სატენდერო შეთავაზება („სატენდერო შეთავაზება“) რათა გადაეცვალა თავისი მთლიანი ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი ეკვივალენტური რაოდენობის ბანკის ჩვეულებრივ აქციებზე და ამით შეეძინა მთლიანი გამოშვებული და გამოსაშვები სააქციო კაპიტალი, მათ შორის ის აქციები, რომლებიც წარმოადგინებდა ბანკის გლობალური სადეპოზიტო ხელწერილებით („GDRs“). 2012 წლის 28 თებერვალს სატენდერო შეთავაზების წარმატებით დასრულებისა და ბანკის არასაკონტროლო წილის მფლობელი აქციონერების ხელთ არსებული ბანკის დარჩენილი აქციების შეძენის შემდეგ, საქართველოს ბანკის ჰოლდინგი ფლობს 2012 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული სააქციო კაპიტალის 99.62%-ს, რომელიც წარმოადგენს ბანკის საბოლოო მშობელ კომპანიას. საქართველოს ბანკის ჰოლდინგის აქციები („საქართველოს ბანკის ჰოლდინგის აქციები“) გასაყიდად განთავსდა გაერთიანებული სამეფოს ლისტინგის ოფიციალური სიის საპრემიო სეგმენტზე და ფასიანის ქაღალდების ლონდონის სავალუტო ბირჟის მთავარ ბაზარზე ტიკერით („დაშვება“).

სატენდერო შეთავაზების შემდეგ, GDR პროგრამა შეწყდა 2012 წლის ივნისში.

სატენდერო შეთავაზების ვადის ამოწურვის თარიღისთვის მისი მომავალი თანამშრომლის წილზე წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაციის მიზნით ბანკში არსებული სახაზინო აქციები მთლიანად კონვერტირებული იქნა BGH ახლად გამოშვებულ აქციებში.

2012, 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქვემოთ ჩამოთვლილი აქციონერები ფლობდნენ ჯგუფის გამოშვებული აქციების 4%-ზე მეტს. დანარჩენი აქციონერები ინდივიდუალურად ფლობდნენ გამოშვებული აქციების 4%-ზე ნაკლებს

აქციონერი	31 დეკემბერი 2012	31 დეკემბერი 2011	31 დეკემბერი 2010
Bank of Georgia Holdings Plc	99.62%	–	–
Bank of New York (Nominees), Limited	–	91.45%	90.50%
East Capital Financial Institutions	–	4.16%	4.36%
სხვა	0.38%	4.39%	5.14%
<b>სულ*</b>	<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>

\* აქციების მფლობელობის პროცენტის გაანგარიშების მიზნით, მის გამყოფი მოიცავს გამოშვებული აქციების მთლიან რაოდენობას, რომელიც მოიცავს ბანკის წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაციის მიზნით ტრასტში არსებულ აქციებს.

(ათას ლარში)

## 1. ძირითადი საქმიანობა (გაგრძელება)

სატენდერო შეთავაზების შედეგად ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს წევრები 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღარ ფლობდნენ ბანკის აქციებს. 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს წევრები საკუთრებაში ფლობდნენ ბანკის 474,246 აქციასა და გლობალური სადეპოზიტო ხელწერილს (“GDRs”) ანუ ბანკის 1,44%-ს; (2010 წ.: 448,232 აქცია და 1.43%;). სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს წევრების წილების გადანაწილება შემდეგია:

აქციონერები	31 დეკემბერი 2011 ფლობილი აქციები და გლობალური სადეპოზიტო სერტიფიკატები	31 დეკემბერი 2010, ფლობილი აქციები და გლობალური სადეპოზიტო სერტიფიკატები
ირაკლი გილაური	194,379	200,379
ალან ჰირსტი	60,434	56,311
სულხან გვალია	58,638	60,638
ავთო ნამინეიშვილი	39,823	34,823
კახა კიკნაველიძე	26,337	22,509
დავით მორისონი	20,357	15,351
ნილ ჯანინი	15,729	3,945
გიორგი ჭილაძე*	14,000	14,333
მიხეილ გომართელი	10,634	10,634
ალ ბრინი	10,279	6,527
არჩილ გაჩეჩილაძე	10,000	3,700
ვასილ რევიშვილი**	5,908	–
იან ჰეიგი	5,112	1,578
ჰანა ლოიკანენი	2,616	–
ირაკლი ბურდილაძე	–	17,504
<b>სულ</b>	<b>474,246</b>	<b>448,232</b>

\* დატოვა ბანკის დირექტორთა საბჭო 2012 წლის 26 მარტს

\*\* 2013 წლის თებერვალში, ბანკმა გამოაცხადა, რომ ვასილ რევიშვილის შრომითი ხელშეკრულება არ გაგრძელდება 2013 წლის 1 მაისს მისი ვადის ამოწურვის შემდეგ.

## 2. მომზადების საფუძველი

### შესავალი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომელიც გაცემულია 2012 წლისთვის მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ.

ბანკს და საქართველოში დაფუძნებულ მის შვილობილ კომპანიებს კანონმდებლობით მოეთხოვებათ, რომ დოკუმენტაცია აწარმოონ და ფინანსური ანგარიშგება მოამზადონ ლარში „ფასს“-ს შესაბამისად, მაშინ როდესაც საქართველოს ფარგლებს გარეთ დაფუძნებული შვილობილი კომპანიები შესაბამისი ადგილობრივი ვალუტებით ფუნქციონირებენ. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით, გარდა სავაჭროდ განკუთვნილი სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდებისა, საინვესტიციო ქონებისა და გადაფასებული ძირითადი საშუალებებისა. საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯები არ წარმოქმნილა სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი“), თითო აქციის ღირებულების გარდა, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

### ფუნქციონირებადი საწარმო

ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა და დაკმაყოფილდეს იმით, რომ მას გააჩნია პროგნოზირებულ მომავალში საქმიანობის გაგრძელების რესურსები.

(ათას ლარში)

უფრო მეტიც ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი დაბადოს ჯგუფის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით. ამიტომ, ფინანსური ანგარიშგებების მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

## 2. მომზადების ანგარიში (გაგრძელება)

### შვილობილი კომპანიები და მეკავშირე საწარმოები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2012, 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი კომპანიები	ხმის უფლების/ ფლობის ჩვეულებრივ საქციელ კაპიტალთან			რეგისტრაციის ქვეყანა	რეგისტრაციის საქმიანობა	რეგისტრაციის თარიღი	შექმენის თარიღი
	31 დეკემბერი 2012	31 დეკემბერი 2011	31 დეკემბერი 2010				
სს ბანკი პერში (ყოფილი სს ბიჯი ბანკი)®	19.4%	19.4%	99.4%	უკრაინა	საბანკო	26/01/1994	1/10/2007
„ვალმედი“ უნიტარული საწარმო (აღრე შპს)	–	(a)	100.0%	ბელორუსი	საინვესტიციო	14/09/2000	3/06/2008
სს ბი ჯი კაპიტალი (საქართველო) (აღრე ცნობილი როგორც „გალტ ენდ თაგართ სიქიურითის“)	100.0%	100.0%	100.0%	საქართველო	საბროკერო და აქტივების მართვა	19/12/1995	28/12/2004
⇒ ბენდერლოქ ინვესტმენტს ლიმიტედ	100.0%	100.0%	100.0%	კვიპროსი	ინვესტიციები	12/05/2009	13/10/2009
⇒ შპს „ბი ჯი თექს ედვანსორი“	(b)	100.0%	100.0%	საქართველო	საგადასახადო კონსულტაცია	25/09/2007	–
⇒ შპს ბი ჯი ქომოდითის (საქართველო	–	(c)	100.0%	საქართველო	საქონლით ვაჭრობა	16/04/2009	–
⇒ შპს ბი ჯი ქომოდითის (უკრაინა)	(d)	100.0%	100.0%	უკრაინა	საქონლით ვაჭრობა	24/11/2009	–
⇒ „გალტ ენდ თაგარტ პოლდინგზ ლიმიტედ“	100.0%	100.0%	100.0%	კვიპროსი	ინვესტიცია	3/07/2006	–
⇒ ბი ჯი თრედიდინგ ლიმიტედ	100.0%	100.0%	100.0%	კვიპროსი	ინვესტიცია	26/03/2007	–
⇒ შპს ბი ჯი კაპიტალ (უკრაინა), შპს	(d)	100.0%	100.0%	უკრაინა	საბროკერო	23/10/2006	–
⇒ შპს ბი ჯი კაპიტალ (ბელორუსია), შპს	100.0%	100.0%	100.0%	ბელორუსი	საბროკერო	19/02/2008	–
⇒ ბრუქსბი ინვესტმენტს ლიმიტედი	100.0%	100.0%	100.0%	კვიპროსი	ინვესტიცია	4/03/2008	18/06/2008
⇒ სს ბელორუსის ნაროდნი ბანკ	79.99%	79.99%	79.99%	ბელორუსი	საბანკო	16/04/1992	3/06/2008
⇒ შპს ბი ენ ბი ლიზინგი	99.9%	99.9%	99.9%	ბელორუსი	ლიზინგი	30/03/2006	3/06/2008
სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი	100.0%	100.0%	100.0%	საქართველო	დაზღვევა	22/06/2007	–
⇒ ბიზნეს ცენტრი ყაზბეგი, შპს	100.0%	100.0%	–	საქართველო	სხვადასხვა	22/06/2010	1/10/2011
⇒ სს ჩემი ოჯახის კლინიკა	51.0%	51.0%	100.0%	საქართველო	ჯანდაცვა	3/10/2005	–
⇒ სს ქუთაისის წმ. ნიკოლოზის ქირურგიული და ონკოლოგიური საავადმყოფო (ყოფილი სს ქუთაისის წმ. ნიკოლოზის ქირურგიული საავადმყოფო)	71.87%	55.0%	55.0%	საქართველო	სამედ. მომსახურ	3/11/2000	20/05/2008
⇒ ქუთაისის რეგიონული კლინიკური საავადმყოფო, შპს	100.0%	100.0%	100.0%	საქართველო	სამედ. მომსახურ	19/07/2010	1/10/2010
⇒ სს ზუგდიდის მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფო „რესპუბლიკა“	100.0%	100.0%	–	საქართველო	სამედ. მომსახურ	11/06/1998	29/11/2011
⇒ შპს ქუთაისის დედათა და ბავშვთა მკურნალობისა და დიაგნოსტიკური ცენტრი	66.7	66.7%	–	საქართველო	სამედ. მომსახურ	05/05/2003	29/11/2011
⇒ სს ჩხოროწყვი რეგიონული ცენტრალური საავადმყოფო	100.0%	100.0%	–	საქართველო	სამედ. მომსახურ	30/11/1999	29/11/2011
⇒ აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახ. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი, შპს	66.7%	66.7%	–	საქართველო	სამედ. მომსახურ	15/10/2004	09/12/2011
⇒ ე.კ. ფიფიას სახელობის წალენჯიხის ცენტრალური საავადმყოფო, შპს	100.0%	100.0%	–	საქართველო	სამედ. მომსახურ	01/09/1999	09/12/2011
⇒ მართვილის მრავალპროფილური საავადმყოფო, შპს	100.0%	100.0%	–	საქართველო	სამედ. მომსახურ	17/03/2000	09/12/2011
⇒ აბაშის ამბულატორიული პოლიკლინიკა, შპს	100.0%	100.0%	–	საქართველო	სამედ. მომსახურ	16/03/2000	09/12/2011
⇒ წვალტუბოს რეგიონული საავადმყოფო, შპს	66.7%	66.7%	–	საქართველო	სამედ. მომსახურ	29/09/1999	09/12/2011
⇒ ხობის ცენტრალური რაიონული კლინიკა, შპს	100.0%	100.0%	–	საქართველო	სამედ. მომსახურ	13/07/2000	09/12/2011
⇒ იმედი ელი დენტ, შპს	100.0%	–	–	საქართველო	მედიცინა	17/01/2005	1/05/2012
⇒ ალიანსი, შპს	100.0%	–	–	საქართველო	სხვადასხვა	1/03/2000	1/05/2012
⇒ გრიინ ვეი, შპს	100.0%	–	–	საქართველო	სხვადასხვა	9/08/2008	1/05/2012
⇒ ცენტრომედ, შპს	100.0%	–	–	საქართველო	მედიცინა	9/07/2010	1/05/2012
⇒ უნიმედი აჭარა, შპს	100.0%	–	–	საქართველო	მედიცინა	29/06/2010	1/05/2012
⇒ უნიმედი სამცხე, შპს	100.0%	–	–	საქართველო	მედიცინა	29/06/2010	1/05/2012
⇒ უნიმედი კახეთი, შპს	100.0%	–	–	საქართველო	მედიცინა	29/06/2010	1/05/2012
საქართველოს ლიზინგის კომპანია, შპს	100.0%	100.0%	100.0%	საქართველო	ლიზინგი	29/10/2001	31/12/2004



სს „საქართველოს ბანკი“ და შვილობილი კომპანიები  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

სს ჯი-სი პოლინგზი (აღრე შპს)	100.0%	100.0%	100.0%	საქართველო	ინვესტიცია	29/10/2007	-
⇒ სს ჯორჯიან ქარდი	56.2%	71.78%	71.78%	საქართველო	ბარათ. დამუშავება	17/01/1997	20/10/2004
⇒ შპს დირექტ დებიტ ჯორჯია	100.0%	100.0%	100.0%	საქართველო	ელექტრონული გადახდის სისტ.	7/03/2006	-
⇒ მეტრონეტ, შპს	100.0%	100.0%	100.0%	საქართველო	კომუნიკ. მომსახ.	23/04/2007	-
სს „ლიბერთი კონსუმერი“	67.49%	67.08%	65.3%	საქართველო	ინვესტიცია	24/05/2006	-
⇒ სს „თელიანი ველი“	51.23%	51.14%	52.33%	საქართველო	მეღვინეობა	30/06/2000	28/02/2007
⇒ შპს „თელიანი თრედიინგ“ (საქართველო)	100.0%	100.0%	100.0%	საქართველო	დისტრიბუცია	10/01/2006	27/03/2007
⇒ შპს „თელიანი თრედიინგ“ (უკრაინა)	100.0%	100.0%	100.0%	უკრაინა	დისტრიბუცია	03/10/2006	31/12/2007
⇒ შპს „ლე კავკას“	100.0%	100.0%	100.0%	საქართველო	კონიაკის სავარ.	23/09/2006	20/03/2007
⇒ შპს „კუპა“	70.0%	70.0%	70.0%	საქართველო	ხის კასრების სავ.	12/10/2006	20/03/2007
⇒ სს „ინტერტურ“	99.94%	97.02%	97.02%	საქართველო	სამოგზაურო სააგ.	29/03/1996	25/04/2006
⇒ შპს „ინტერტურ“ უკრაინა	-	(a)	100.0%	უკრაინა	სამოგზაურო სააგ.	19/02/2010	-
⇒ შპს „პოლიდეი თრეველი“	(e)	100.0%	100.0%	საქართველო	სამოგზაურო სააგ.	11/02/2005	4/09/2006
⇒ სს „ფრაიმ ფიტნესი“	100.0%	100.0%	100.0%	საქართველო	ფიტნეს ცენტრი	3/07/2006	-
⇒ შპს „პლანეტა ფორტე“	(f)	51.0%	51.0%	საქართველო	გაზეთის სავაჭრო	31/10/1995	1/01/2009
სს სიბი რეალ ისთი	100.0%	100.0%	100.0%	საქართველო	უძრავი ქონება	27/09/2006	-
⇒ კავკასუს ავტოპაუზ, შპს	100.0%	100.0%	-	საქართველო	უძრავი ქონება	29/03/2011	-
⇒ თამარაშვილი I3, შპს	100.0%	100.0%	-	საქართველო	უძრავი ქონება	03/11/2011	-
სს „გალტ ენდ თაგვარტ პოლინგზ (საქართველო)“	100.0%	100.0%	100.0%	საქართველო	ინვესტიცია	4/11/2008	-
⇒ შპს „მეტრო სერვის +“	100.0%	100.0%	100.0%	საქართველო	ბიზნეს მომსახურება	10/05/2006	-
⇒ შპს „ჯორჯია ფაინანშიალ ინვესტმენტს“	100.0%	100.0%	100.0%	ისრაელი	ინფორმაციის გაზიარება და მარკეტინგული კვლევა	9/02/2009	-
⇒ საქართველოს ბანკის წარმომადგენლობა UK ლიმიტედ	100.0%	100.0%	100.0%	გაერთ. სამეფო	ინფორმაციის გაზიარება და მარკეტინგული კვლევა	17/08/2010	-
⇒ შპს პროფესიულ კალატურთელთა კლუბი „დინამო თბილისი“	100.0%	100.0%	-	საქართველო	ინვესტიცია	01/10/2011	-
⇒ სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“	100.0%	100.0%	100.0%	საქართველო	რეგისტრატურა	29/05/2006	-
საქართველოს ბანკის წარმომადგენლობა უნგრეთში	100.0%	-	-	უნგრეთი	წარმომადგენლობა	18/06/2012	-

(a) აღარ არის ჯგუფის შვილობილი კომპანია, 2011 წელს მისი გაყიდვის გამო  
(b) შეერწყა შპს „ბი-ჯი ცაპიტალს“ (საქართველო) 2012 წელს  
(c) ბიჯი ქომოდითის (ჯორჯია) შეერწყა სს „ბიჯი ცაპიტალს“ 2011 წელს.  
(d) ლიკვიდირებული იქნა 2012 წელს  
(e) შეერწყა სს „ინტერტურს“ 2012 წელს  
(f) აღარ არის ჯგუფის შვილობილი კომპანია, 2012 წელს მისი გაყიდვის გამო  
(g) აღარ არის ჯგუფის შვილობილი კომპანია 2011 წელს საკონტროლო წილის გაყიდვის გამო

მეკავშირე საწარმოები	31 დეკემბერი			რეგისტრაციის ქვეყანა	საქმიანობა	რეგისტრაციის თარიღი	შექმნის თარიღი
	2012	2011	2010				
	31 დეკემბერი 2012	31 დეკემბერი 2011	31 დეკემბერი 2010				
შპს 6 ტური	30.0%	30.0%	30.0%	საქართველო	სამოგზაურო	1/11/2001	29/05/2008
სს სასტუმროების და რესტორნების მართვის ჯგუფი-ნ/ჯგუფი	10.0%	25.0%	25.0%	საქართველო	კვების ობიექტი	30/05/2005	29/05/2008
სს ი ქოლ	27.0%	27.0%	27.0%	საქართველო	ქოლ ცენტრი	22/03/2005	22/11/2006
სს კავკასუს ავტომობილ რეაქტივ სტაილ +, შპს	-	30.0%	36.1%	საქართველო	მანქანის მალაზია	18/04/2008	2/05/2008
	32.5%	32.5%	32.5%	საქართველო	სარეკლამო	1/08/2005	7/08/2008

(ათას ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

#### ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

წლის განმავლობაში ჯგუფმა მიიღო შემდეგი შესწორებული „ფასს“:

ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ – ცვლილებები

ეს ცვლილებები გამოიცა 2010 წლის ოქტომბერში და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2011 წლის 1 ივლისს ან შემდგომ. ეს ცვლილებები მოითხოვს დამატებით ინფორმაციას გადაცემული ფინანსური აქტივების შესახებ, რათა შესაძლებლობა მიეცეს ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შეაფასონ ამ აქტივებთან დაკავშირებული რისკები. ამ ცვლილებამ გავლენა არ მოახდინა ჯგუფის განმარტებითი შენიშვნებზე, ფინანსურ მდგომარეობასა ან საქმიანობაზე.

ქვემოთ წარმოდგენილი სტანდარტების სახეცვლილებების შედეგად წარმოქმნილმა სხვა ცვლილებებმა გავლენა არ მოახდინა ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვის პილოტიკაზე, ფინანსურ მდგომარეობასა ან საქმიანობაზე:

- ბასს 12 „მოგებიდან გადასახადები“ (ცვლილება) – გადავადებული გადასახადები: საბაზისო აქტივების აღდგენა
- ფასს 1-ის „ფასს-ის პირველად გამოყენება“ (ცვლილება) – ძლიერი ჰიპერინფლაცია და ფიქსირებული თარიღების გაუქმება მათთვის, ვინც პირველად იყენებს სტანდარტებს.

#### გაერთიანების საფუძველი

შვილობილი კომპანიები, რომლებშიც ჯგუფს გააჩნია ხმის უფლებისთვის საჭირო წილის ნახევარზე მეტი, ან სხვაგვარად გააჩნია უფლება განახორციელოს ამ შვილობილი კომპანიების ოპერაციების კონტროლი, წარმოადგენენ კონსოლიდირებულ საწარმოებს. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულად მიიჩნევა იმ დღიდან, როცა კონტროლი გადაეცემა ჯგუფს და შვილობილ კომპანიებს აღარ გააჩნიათ აღნიშნული სტატუსი კონტროლის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ. ჯგუფის ყველა შიდა ოპერაცია, ნაშთები და არარეალიზებული მოგება ჯგუფის კომპანიებს შორის ოპერაციებიდან სრულად იქითება. არარეალიზებული ზარალი ასევე იქითება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ოპერაცია იძლევა გადაცემული აქტივის გაუფასურების საფუძველს. აუცილებლობიდან გამომდინარე შვილობილი კომპანიების საბუღალტრო წესები შეიცვალა, რათა ისინი შესაბამისობაში ყოფილიყო ჯგუფის მიერ აღიარებულ წესებთან.

საწარმოების გაერთიანებისას გამოიყენება შექენის მეთოდი. შექენის ღირებულება ფასდება როგორც შექენის დღისთვის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მთლიანი გადაცემული ანაზღაურებისა და შექენილ საწარმოში ნებისმიერი არასაკონტროლო წილის მოცულობის ჯამი. თვითოეული გაერთიანების შემთხვევაში ჯგუფი აფასებს შექენილ საწარმოში არასაკონტროლო წილს სამართლიანი ღირებულების ან შექენილ საწარმოს წმიდა აქტივების პროპორციული წილის მიხედვით. შექენაზე გაწეული დანახარჯები აღირიცხება ხარჯების ნაწილში.

როცა ჯგუფი შეიძენს საწარმოს, ის აფასებს ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ნავარაუდევია შექენის თარიღისთვის სავარაუდო კლასიფიკაციისთვის საკონტრაქტო პირობების, ეკონომიკური გარემოებებისა და პოტენციური პირობების შესაბამისად. ამაში შედის შექენილი საწარმოს მიერ კონტრაქტებში ჩადებული წარმოებული ინსტრუმენტების განცალკევება.

თუ საწარმოების გაერთიანება ხორციელდება ეტაპობრივად, შექენილ საწარმოში ჯგუფის მიერ ადრე ფლობილი წილების სამართლიანი ღირებულება შექენის დღეს ხელახლა გადაფასდება

(ათას ლარში)

შექმენის თარიღისთვის არსებული სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის საშუალებით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფის მიერ გადასაცემი ნებისმიერი პირობითი გადახდა აღიარებულია შექმენის თარიღისთვის სამართლიანი ღირებულებით. პირობითი გადახდის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილება, რომელიც ჩაითვლება აქტივად ან ვალდებულებად, აღიარებული იქნება ბასს 39-ის შესაბამისად მოგებაში ან ზარალში ან როგორც სხვა მთლიანი შემოსავლის ცვლილება. თუ დროებითი გადახდა კლასიფიცირებული იქნება როგორც კაპიტალი, მისი გადაფასება არ მოხდება მანამ, სანამ საბოლოოდ არ მოხდება მისი დაფარვა კაპიტალის ფარგლებში.

გუდვილი თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც აღემატება ჯგუფის წმინდა შექმენილ აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით გადარიცხულ თანხას. თუ ეს გადახდილი თანხა ნაკლებია შექმენილი შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე, სხვაობა აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ გუდვილი ფასდება თვითღირებულებით, გამოკლებული ნებისმიერი დაგვროვილი გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. გაუფასურების შემოწმების მიზნით, საწარმოს გაერთიანებაში შექმენილი გუდვილი შექმენის თარიღისთვის გადაეცემა ჯგუფის ფულადი სახსრების წარმომქმნელ თითოეულ ერთეულს, რომლებიც ვარაუდის მიხედვით სარგებელს ნახავენ ამ გაერთიანებით, მიუხედავად იმისა შექმენილი საწარმოს სხვა აქტივები ან ვალდებულებები მიეკუთვნება თუ არა ამ ერთეულებს.

თუ გუდვილი წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ნაწილს და ის ოპერაცია, რომელიც ხორციელდება ამ ერთეულში, შეწყდება, მასთან დაკავშირებული გუდვილი აისახება ამ ოპერაციის საბალანსო ღირებულებაში, მოგების ან ზარალის განსაზღვრისას. ამ გარემოებებში გუდვილი ფასდება შეწყვეტილი ოპერაციისა და ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შენარჩუნებული წილის ღირებულების მიხედვით.

#### *ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში*

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენენ საწარმოებს, სადაც კომპანიას, როგორც წესი, გააჩნია ხმის უფლების 20%-დან 50%-მდე ან სხვაგვარად არის უფლებამოსილი იქონიოს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიაზე, მაგრამ რომელსაც იგი არ აკონტროლებს ერთპიროვნულად ან ერთობლივად. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში აღირიცხება კაპიტალის მეთოდით და აღიარებულია თავდაპირველი ღირებულებით გუდვილის ჩათვლით. შემდგომი ცვლილებები საბალანსო ღირებულებაში ასახავს შესყიდვის შემდგომ ცვლილებებს მეკავშირე კომპანიაში ჯგუფის წმინდა აქტივების ნაწილში. მეკავშირე საწარმოში ჯგუფის მოგების ან ზარალის ნაწილის აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ხოლო რეზერვების დინამიკის ნაწილის აღიარება ხდება კაპიტალში. თუმცა, თუ მეკავშირე საწარმოში ჯგუფის ზარალის წილი ტოლია ან მეტია ჯგუფის სარგებელზე, ჯგუფი არ აღიარებს შემდგომ ზარალს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი ვალდებულია განახორციელოს შემდგომი გადახდები მეკავშირე საწარმოში თუ მისი სახელით.

ჯგუფსა და მეკავშირე საწარმოს შორის ოპერაციებიდან მიღებული არარეალიზებული მოგება იქვითება იმ ოდენობით, რა წილსაც ფლობს ჯგუფი ამ მეკავშირე საწარმოში. არარეალიზებული ზარალი ასევე იქვითება მეკავშირე საწარმოში ჯგუფის წილის შესაბამისად, თუ არ არსებობს გადაცემული აქტივის გაუფასურების საფუძველი.

#### *ფინანსური აქტივები*

*თავდაპირველი აღიარება*

(ათას ლარში)

ბასს 39-ის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, სესხებად და მისაღებ ანგარიშებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებად ან გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას, მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ ინვესტიციებისათვის, რომლებიც არ აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### *აღიარების თარიღი*

როგორც წესი, ფინანსური აქტივების გაყიდვებისა და შესყიდვების აღიარება ხდება სავაჭრო ოპერაციის დღეს, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი შეისყიდის აქტივს. ჩვეულებრივ, ფინანსური აქტივების შესყიდვა და გაყიდვა ისეთი ოპერაციებია, რომლებიც მოითხოვენ აქტივის მიტანას დანიშნულების პუნქტამდე კანონმდებლობით თუ საბაზრო პირობებით რეგულირებად პერიოდში.

#### *სესხები და მოთხოვნები*

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახადი და რომელთა კოტირება არ ხდება ბაზარზე. ისინი არ კლასიფიცირდება სავაჭრო ფასიან ქაღალდებად, არ განისაზღვრება, როგორც გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები და არ გამოიყენება მოკლე პერიოდში გაყიდვის მიზნით. ასეთი აქტივები აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს გათვლა მოიცავს კონტრაქტის მხარეებს შორის განსორციელებულ ყველა გადახდილ და მიღებულ საკომისიოს, რომლებიც წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯების და ყველა სხვა საპრემიო შენატანის თუ დისკონტის განუყოფელ ნაწილს. ამორტიზებული ღირებულებით წარმოდგენილი ინვესტიციებისათვის მიღებული მოგება და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როცა ინვესტიციები გაუფასურებულია ან ამორტიზაციას განიცდის. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ხდება სესხისა და მოთხოვნის ჩამოწერისას, გაუფასურებისას, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

#### *გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები*

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები ის არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომლებიც განსაზღვრულია გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად და არ არის გათვალისწინებული ზემოთაღნიშნულ სამ კატეგორიაში. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებისა და ზარალის ცალკეულ კომპონენტად აღიარებით სხვა სრულ შემოსავალში, ინვესტიციის ჩამოწერამდე თუ გაუფასურებამდე, როდესაც სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხული ჯამური მოგება თუ ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. თუმცა, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაანგარიშებული საპროცენტო განაკვეთის აღიარება ხდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

#### *სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა*

ფინანსურ ბაზარზე გასაყიდად არსებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება ანგარიშგების თარიღისათვის განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასდადებით შეთავაზების ფასით გრძელ პოზიციაზე და მოთხოვნის ფასით მოკლე პოზიციაზე, გარიგების ხარჯის გამოკლების გარეშე, ანგარიშგების დღის ბოლოსათვის.

ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელთა საბაზრო პირობებთან შედარებაც ვერ ხერხდება, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სათანადო შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების ეს მეთოდი მოიცავს "გაშლილი ხელის პრინციპით" წარმოებულ საბაზრო გარიგებებს, რომლებიც გამომდინარეობს ნებაყოფლობითი ოპერაციებიდან, ლიკვიდაციიდან თუ გაყიდვებიდან, ანალოგიური ინსტრუმენტების საბაზრო ფასებზე, დისკონტირებულ ფულად ნაკადებზე და სხვა შეფასების მოდელებზე დაყრდნობით.

#### **გაქვითვა**

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა და მათი წმინდა თანხით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახვა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს

(ათას ლარში)

შესაბამისი თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და მათი წმინდა სახით დაფარვის განზრახვა, ან განზრახვა, მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების მყისიერი დაფარვა.

### **ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, მოთხოვნების ეროვნული ბანკისადმი, (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისგან, რომელთაც გააჩნიათ გამოშვებიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისგან.

## **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

### **წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები**

ჩვეულებრივ საქმიანობის პირობებში ჯგუფი აწარმოებს გაცვლით ოპერაციებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით სავალუტო და ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე. ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარების პოლიტიკის თანახმად და შემდეგ ფასდება სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ღირებულებით, ან ფასდადების მოდელის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია ამ ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო და საკონტრაქტო ფასი და სხვა ფაქტორები. წარმოებული ფასიანი ქაღალდები აისახება, როგორც აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსავლები და ხარჯები აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც საპროცენტო სვოპებიდან მიღებულ შემოსულობას გამოკლებული ზარალი და სავალუტო ოპერაციებიდან მიღებულ შემოსულობას გამოკლებული ზარალი, გამომდინარე ინსტრუმენტის ბუნებიდან.

### **სესხები**

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირებულია, როგორც ვალდებულებები, როდესაც საკონტრაქტო გარიგებების შედეგად ჯგუფს წარმოეშობა ფულადი ან სხვაგვარი ვალდებულება მფლობელის წინაშე, ან როდესაც ჯგუფი ფინანსური აქტივების სანაცვლოდ გასცემს ფიქსირებული რაოდენობის კაპიტალის ინსტრუმენტებით. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს ვალდებულებებს საკრედიტო დაწესებულებებისა და მეანაბრების წინაშე, მათ შორის გამოშვებულ მარტივ თამასუქებს. აღნიშნული თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საფასურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების ჩამოწერისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

თუ ჯგუფი შეიძენს თავის საკუთარ ვალს, ის ამოღებული იქნება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან და სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ უზრუნველყოფას შორის აღიარებული იქნება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

### **სუბორდინირებული ვალი**

სუბორდინირებული ვალი წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსურ ბაზარებზე ან ადგილობრივ ბაზრებზე ბანკის მიერ მოზიდულ გრძელვადიან სახსრებს. სუბორდინირებული ვალის მფლობელები ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში დაბრუნებული ვალის მისაღებად ექვემდებარებიან ყველა სხვა კრედიტორს. სუბორდინირებული ვალი წარმოადგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

### **იჯარა**

#### **i. ფინანსური – ჯგუფი, როგორც მფლობელი**

ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებს იჯარიდან მისაღებ თანხებს ფასით, რომელიც ტოლია წმინდა ინვესტიციებისა ფინანსურ იჯარაში, იჯარის

(ათას ლარში)

ვადის ათვლის თარიღიდან. წმინდა ინვესტიცია ფინანსურ იჯარაში გამოინგარიშება მინიმალური საიჯარო გადასახადის მიმდინარე მოცულობით, რომლის დაანგარიშებისას იჯარის საპროცენტო განაკვეთში გათვალისწინებულია დისკონტირების ფაქტორი. საწყისი პირდაპირი ხარჯები გათვალისწინებულია იჯარიდან მისაღებ თანხებში. მიღებული საიჯარო გადასახადები განაწილებულია ფინანსურ შემოსავალსა და საიჯარო მოთხოვნების კლებას შორის. ფინანსური შემოსავალი ეფუძნება პრინციპს, რომელიც ასახავს მუდმივი პერიოდულობის მქონე უკუგების განაკვეთს წმინდა ინვესტიციიდან.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ii. საოპერაციო – ჯგუფი, როგორც მოიჯარე

აქტივების იჯარა, რომელთან მიმართებაშიც მფლობელობის რისკებიცა და ანაზღაურებაც არის მოიჯარის ხელში, კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი გრძელვადიან პერიოდში და შესულია აღმინისტრაციულ და საოპერაციო ხარჯებში.

#### iii. საოპერაციო - ჯგუფი როგორც მეიჯარე

ჯგუფი ასახავს საოპერაციო იჯარით გაცემულ აქტივებს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აქტივის ბუნების შესაბამისად. საიჯარო შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდში, როგორც სხვა შემოსავალი. მოიჯარისათვის შეთავაზებული სტიმულირების ხარჯები აისახება, როგორც საიჯარო შემოსავლის შემცირება იჯარის პერიოდში წრფივი მეთოდით. საწყისი პირდაპირი ხარჯები, რომლებიც გაწეულია კონკრეტულად საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის მისაღებად, ემატება იჯარით აღებული აქტივის საბალანსო ღირებულებას

#### ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი საბალანსო ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღით ასახავს ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურებას.

ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნევა მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს რაიმე ფაქტის (ფაქტების) შედეგად გამოწვეული გაუფასურების ობიექტური საფუძველი, რომელსაც (რომელთაც) ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ (წარმოშობილი “ზარალის ფაქტი”) და ზარალის ფაქტს (ფაქტებს) გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების საფუძველი შესაძლოა მიგვანიშნებდეს, რომ მსესხებელი თუ მსესხებელთა ჯგუფი განიცდის ფინანსურ სირთულეებს, არღვევს პროცენტისა თუ ძირითადი თანხის დაფარვის განრიგს, არსებობს მისი გაკოტრების ალბათობა და სხვა, ან თუ სავარაუდოა სამომავლო ფულადი ნაკადების კლება ეკონომიკური პირობების ცვლილებიდან გამომდინარე, რაც გამოიწვევს საკონტრაქტო პირობების დარღვევას.

#### მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ და კლიენტებზე გაცემული სესხები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების და კლიენტებზე გაცემული სესხების შეფასებისას ჯგუფი თავდაპირველად ინდივიდუალურად ადგენს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის ან კოლექტიურად არამნიშვნელოვნად მიჩნეული ფინანსური აქტივებისათვის. თუ დადგინდა, რომ გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელსაც გააჩნია ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება

(ათას ლარში)

გაუფასურების ხარჯის აღიარება, არ არის ჩართული გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

თუ არსებობს გაუფასურების ხარჯის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (კრედიტებზე მოსალოდნელი სამომავლო დანაკარგების გამოკლებით, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით. სესხები დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ არის რეალურად მოსალოდნელი.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივების გაუფასურება

თუ გაუფასურების ხარჯი იზრდება ან მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, უწინ აღიარებული გაუფასურების ხარჯი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის კორექტირებით. თუ მომავალში მოხერხდა ჩამოწერილი თანხის ამოღება, იგი კრედიტდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტის განაკვეთი გაუფასურების ხარჯის შესაფასებლად წარმოადგენს მიმდინარე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს გამოყენებული უზრუნველყოფიდან, რასაც აკლდება უზრუნველყოფის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის გამოყენება.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია შიდა საკრედიტო რანჟირების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მახასიათებლებს, როგორებიცაა აქტივის ტიპი, სექტორი, გეოგრაფიული მდებარეობა, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახულ იქნას მიმდინარე პირობების გავლენა, ხოლო ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს, არ იყოს გათვალისწინებული. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და შეესაბამება იმგვარ მონაცემებს, როგორებიცაა უმუშევრობის დონე, უძრავი ქონების ფასი, საქონლის ფასი, გადახდისუნარიანობა და სხვა. სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების (რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით) გადახედვა ხდება რეგულარულად, მოსალოდნელ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

#### კლიენტებზე გაცემული სესხების ჩამოწერა

ყველა საცალო სესხი, გარდა იპოთეკური სესხებისა, ჩამოიწერება თუ მათი ვადაგადაცილება ხდება 365 დღეზე მეტი ხნით. საცალო იპოთეკური სესხები ჩამოიწერება თუ ისინი ვადაგადაცილებულია 150 დღეზე მეტი ხნით. კორპორატიული სესხების 150 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილების შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ხელმძღვანელობა და შეფასება ხდება თვითოეული შემთხვევის მიხედვით, სესხის/მსესხებელის არსებული და მოსალოდნელი მდგომარეობის გათვალისწინებით.

#### გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

(ათას ლარში)

გასაყიდად ასრებული ფინანსური ინვესტიციებისთვის, ჯგუფი ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის აფასებს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება, რომ ინვესტიცია ან ინვესტიციების ჯგუფი გაუფასურებულია.

იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ინვეტიციები კლასიფიცირებული იქნება, როგორც გასაყიდად არსებული, ობიექტური მტკიცებულება უნდა მოიცავდეს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვან ან ხაგრძლივ კლებას მის თვითღირებულებაზე ნაკლებ ღირებულებამდე. როცა არსებობს გაუფასურების მტკიცებულება, კუმულაციური დანაკარგი – რომელიც იზომება როგორც შექმნის ხარჯებსა და არსებულ სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობას გამოკლებული ნებისმიერი ან ინვეტიციაზე ღირებულების შემცირებით გამოწვეული ზარალი, რომელიც ადრე აღიარებული იყოს მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში – რეკლასიფიცირდება სხვა სრული შემოსავლიდან მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. აქციებში ინვესტირებასთან დაკავშირებით ღირებულების შემცირებით გამოწვეული ზარალი არ შებრუნდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგების საშუალებით; გაუფასურების შემდეგ მათი სამართლიანი ღირებულების ზრდა აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

თუ სავალო ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად არსებული სავალო ინსტრუმენტები, გაუფასურება შეფასებულია ამორტიზაციის ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების მიმართ გამოყენებული კრეტერიუმით. მომავალი საპროცენტო შემოსავალი ეფუძნება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას და დაირიცხება იმ საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გამოიყენება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შეფასების მიზნით. საპროცენტო შემოსავალი აღრიცხულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. თუ მომდევნო წელს სავალო ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გაიზრდება და ეს ზრდა შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღრიცხვის შემდეგ მომხდარ მოგვლენას, გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი შებრუნდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

#### რესტრუქტურული სესხები

რესტრუქტურული სესხები მოიცავს ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რომლებიც სხვაგვარად ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული იქნება, და რომლის პირობები ხელახლა შეთანხმდა.

თუ შესაძლებელია, ჯგუფმა უზრუნველყოფის აღების ნაცვლად, უნდა მოახდინოს ვალების რესტრუქტურისაცია. ამან შესაძლოა გამოიწვიოს გადახდის ღონისძიებების გაგრძელება და ახალი სესხის პირობებზე შეთანხმება.

ასეთი რესტრუქტურისაციის საბუღალტრო აღრიცხვა შემდეგნაირია:

- თუ სესხის ვალუტა შეიცვლება, ძველი სესხის აღიარება გაუქმდება და აღიარებული იქნება ახალი სესხი.
- თუ სესხის რესტრუქტურისაცია არ არის გამოწვეული მსესხებელის ფინანსური სირთულეებით, ჯგუფი იყენებს იმავე მეთოდს, რომელსაც იყენებს ქვემოთ აღწერილი ფინანსური ვალდებულებებისთვის.
- თუ რესტრუქტურისაცია გამოწვეულია მსესხებელის ფინანსური სირთულეებით და სესხი შემცირდება რესტრუქტურისაციის შემდეგ, ჯგუფი აღიარებს ახალი დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადების არსებულ ღირებულებებს შორის სხვაობას თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და ნომინალური ღირებულებით. თუ სესხი არ შემცირდება რესტრუქტურისაციის შემდეგ, ჯგუფი ხელახლა გადაიანგარიშებს ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს.

მას შემდეგ, რაც მოხდება სესხის პირობებზე ხელახალი შეთანხმება, სესხი აღარ მიიჩნევა ვადაგადაცილებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად ახდენს ხელახლა შეთანხმებული სესხების მონიტორინგს, რათა დარწმუნდეს, რომ შესრულებულია ყველა პირობა და სამომავლო დაფარვები მოსალოდნელია. გაუფასურებასთან მიმართებაში სესხები კვლავაც ფასდება ინდივიდუალურად ან



(ათას ლარში)

კოლექტიურად და შეფასებისთვის გამოიყენება სესხის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

#### **ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების გაუქმება**

##### *ფინანსური აქტივები*

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწერა აქტივისგან ფულადი სახსრების მიღების უფლება;
- ჯგუფმა გადასცა აქტივისგან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე მესამე პირებისათვის გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და ჯგუფის მიერ (ა) გადაცემულ იქნა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფის მიერ გადაცემულ იქნა აქტივზე კონტროლი.

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

#### **ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების გაუქმება (გაგრძელება)**

იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის მიერ გადაცემულ იქნა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება და არ მომხდარა რისკებისა და სარგებლის და აქტივზე კონტროლის არც გადაცემა და არც შენარჩუნება, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება შემდგომი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც გააჩნია გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით, რომლის გადახდაც შესაძლოა დასჭირდეს ჯგუფს.

როდესაც შემდგომი გამოყენება მიიღებს გადაცემულ აქტივზე წერილობითი და/ან შექმნილი ოფციონის ფორმას (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით), ჯგუფის ჩართულობის ხარისხი წარმოადგენს იმ გადაცემული აქტივის თანხას, რომლითაც შესაძლებელია აქტივის გამოსყიდვა. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს წერილობითი მიწოდების ოფციონი (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით) სამართლიანი ღირებულებით ასახულ აქტივზე, ჯგუფის ჩართულობის ხარისხი შემოიფარგლება გადაცემული აქტივების სამართლიანი ღირებულებასა და ოფციონის სააღსრულებო ფასს შორის უმცირესით.

##### *ფინანსური ვალდებულებები*

ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებით ნაკისრი მოვალეობები შესრულდება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის ამავე კრედიტორის მიმართ სხვა ვალდებულება, მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან, თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია გულისხმობს საწყისი ვალდებულების ჩამოწერას და ახალი ვალდებულების ასახვას, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

##### *ფინანსური გარანტიები*

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი გაცემს ფინანსურ გარანტიებს აკრედიტივებისა და გარანტიების სახით. ფინანსური გარანტიები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხებიან სამართლიანი ღირებულებით, „სხვა ვალდებულებებში“, როგორც მიღებული პრემია. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ჯგუფის ვალდებულებები ყოველი გარანტიისთვის იზომება ამორტიზებულ პრემიასა და იმ ხარჯების მაქსიმალურად ზუსტ გათვლას შორის უმეტესით, რომელიც საჭირო იქნება გარანტიიდან წარმოშობილი ფინანსური ვალდებულების დასაფარად.

ყოველი მატება ვალდებულებებში, რაც დაკავშირებულია ფინანსურ გარანტიებთან აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. მიღებული პრემია აღიარებულია მოგება-

(ათას ლარში)

ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით გარანტიის ხანგრძლივობის შესაბამისად.

### **გადასახადები**

მიმდინარე მოგების გადასახადის დაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება ხდება დროებით სხვაობებთან მიმართებაში ვალდებულებათა მეთოდის გამოყენებით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის თავდაპირველი აღიარებიდან თუ აქტივისა და ვალდებულებიდან იმ ოპერაციაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გაველენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგება-ზარალზე.

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

გადავადებული საგადასახადო აქტივი აისახება იმ პირობით, თუ არსებობს ალბათობა დასაბეგრი მოგებისა, რომლითაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც დადგინდა ანგარიშგების დღეს.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციებიდან შვილობილ კომპანიებში, მოკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა გაკონტროლებულ იქნას დროებითი სხვაობის შებრუნების დრო და ახლო მომავალში შებრუნება არ არის მოსალოდნელი.

საქართველოში, უკრაინაში, ბელორუსიასა და კვიპროსში მოქმედებს მთელი რიგი გადასახადები, რომლებიც ჯგუფის საქმიანობასთანაა დაკავშირებული. აღნიშნული გადასახადები ჩართულია სხვა საოპერაციო ხარჯებში კომპონენტის სახით.

### **საინვესტიციო ქონება**

ჯგუფი ფლობს საინვესტიციო ქონებას საიჯარო შემოსავლისა და/ან კაპიტალის ზრდისათვის. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, შემდგომი ხარჯების ჩათვლით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან წარმოშობილი მოგება ან ზარალი ჩართულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც “საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა.”

### **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და აკუმულირებული გაუფასურების მოცულობა. ამგვარი თანხა მოიცავს ძირითადი საშუალებების ჩანაცვლების ღირებულებას, როდესაც ხარჯი წარმოიშობა თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. შენობა-ნაგებობები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება ცვეთა და გაუფასურების განაკვეთი გადაფასების თარიღის შემდგომ.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოველენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

თავდაპირველად თვითღირებულებით აღიარების შემდგომ, შენობა-ნაგებობები აისახება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების

(ათას ლარში)

თარიღისათვის, გამოკლებული შემდგომში აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ხარჯი. შეფასება ხდება საკმაოდ ხშირად იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას ფაქტი, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან.

აკუმულირებული ცვეთა გადაფასების თარიღისთვის გაიქვითება აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებასთან და წმინდა თანხის დაგაანგარიშება ხდება აქტივის გადაფასებული ღირებულების მისაღებად. გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება სხვა სრულ შემოსავალში ასახული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება უწინ მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული აქტივის გადაფასებისას მისი მოცულობის კლების შეზღუდვა. ამ შემთხვევაში, მატება აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტი აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი პირდაპირ ქვითავს იმავე აქტივზე უწინ აღიარებულ მატებას, და გამოიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. დამატებით, გადაფასების თარიღისათვის აკუმულირებული ცვეთა იქვითება აქტივის ჯამურ საბალანსო ღირებულებასთან და ხდება მისი წმინდა თანხით ხელახლა ასახვა. გაყიდვისას, ცალკეულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

აქტივების ცვეთა ირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მანქანების მიხედვით

	<u>წელი</u>
შენობები	100
	წლამდე
ავეჯი და მოწყობილობები	10
კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

საიჯარო გაუმჯობესებების ამორტიზაცია ხდება შესაბამისი საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება მათი წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

#### **გუდვილი**

საწარმოთა გაერთიანებისას წარმოშობილი გუდვილი წარმოადგენს ჯგუფის შვილობილ კომპანიაში ამოცნობადი აქტივების, ვალდებულებების და პირობით ვალდებულებების წმინდა სამართლიანი ღირებულების წილსა და ბიზნესის გაერთიანებასთან დაკავშირებული ხარჯის სხვაობას შესყიდვის თარიღისათვის. შვილობილი კომპანიის შესყიდვასთან დაკავშირებული გუდვილი ჩართულია არამატერიალურ აქტივებში. მეკავშირე საწარმოების შესყიდვასთან დაკავშირებული გუდვილი ჩართულია ინვესტიციებში მეკავშირე საწარმოებში. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული გაუფასურების ხარჯი.

(ათას ლარში)

გაუფასურებასთან მიმართებაში გუდვილის გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად, თუ მოვლენები და გარემოებების ცვლილებები მიუთითებენ მიმდინარე თანხების გაუფასურებაზე. გაუფასურების შემოწმების მიზნებისათვის, საწარმოთა გაერთიანებისას დარიცხული გუდვილი, შესყიდვის თარიღიდან გადანაწილდება ჯგუფის ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთა ჯგუფებზე, რომლებიც სავარაუდოდ ისარგებლებენ გაერთიანების პროცესით, იმისდა მიუხედავად განეკუთვნება თუ არა ჯგუფის სხვა აქტივები და ვალდებულებები აღნიშნულ ერთეულებს თუ ერთეულთა ჯგუფებს. ამგვარი ერთეულები, რომელთაც ერიცხებათ გუდვილი წარმოადგენენ:

- ჯგუფის ქვედა დონეს, სადაც გუდვილის მონიტორინგი ხდება მენეჯმენტის შიდა მიზნებისათვის; და
- არ აღემატება სეგმენტს, რომელიც განსაზღვრულია ფასს 8-ში „საოპერაციო სეგმენტები“

გუდვილის გაუფასურება განისაზღვრება იმ ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის (ერთეულთა ჯგუფის) აღდგენითი ღირებულების შეფასებით, რომელსაც განეკუთვნება გუდვილი. როცა ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენითი ღირებულება საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, ხდება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარება. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების შეტრუნება მომავალ პერიოდებში შეუძლებელია.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### არამატერიალური აქტივები

ჯგუფის სხვა არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თავდაპირველი აღიარებისას თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას წარმოშობილი არამატერიალური აქტივის მოცულობა წარმოადგენს შესყიდვის დღეს არსებულ სამართლიან ღირებულებას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურების ხარჯი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის - 4-10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება არ ხდება, თუმცა ხდება მათი გაუფასურებასთან მიმართებაში ყოველწლიურად შემოწმება, ინდივიდუალურად ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე.

პროგრამული უზრუნველყოფის შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება ხარჯებში წარმოშობისას. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ღირებულება (დაკავშირებული ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული უზრუნველყოფის დიზაინსა და ტესტირებასთან) აღიარებულია, როგორც არამატერიალური აქტივები მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის უნარი და განზრახვა, რომ შესაძლებელი იყოს აქტივის გამოყენება თუ გაყიდვა, რომ აქტივს შეეძლოს სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოტანა, რომ ხელმისაწვდომია ამ პროცესის დასრულებისთვის საჭირო რესურსები, და რომ შესაძლებელია პროგრამის შექმნის ხარჯების სარწმუნოდ შეფასება. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნასთან დაკავშირებული სხვა სახის დანახარჯების აღრიცხვა ხდება ხარჯებში მათი წარმოშობისთანავე.

#### დაზღვევისა და გადაზღვევის მოთხოვნები

დაზღვევისა და გადაზღვევის მოთხოვნები აღიარებულია სადაზღვევო პოლისის პირობების შესაბამისად და აღრიცხულია თვითღირებულებით. დაზღვევისა და გადაზღვევის მოთხოვნების საბალანსო ღირებულების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. ნებისმიერი გაუფასურების ხარჯი აღირიცხება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

(ათას ლარში)

გადაზღვევის მოთხოვნები ძირითადად მოიცავს სადაზღვევო კრედიტის დაუფარავი ნაშთების მოთხოვნებს როგორც სადაზღვევო, ასევე გადამზღვევი კომპანიებისაგან. გადაზღვევის პრემიის აღიარება ხდება შემოსავლად ისე, როგორც ეს მოხდებოდა, თუ გადაზღვევა მიიჩნეოდა პირდაპირ საქმიანობად, გადაზღვეული საქმიანობის პროდუქციის კლასიფიკაციის გათვალისწინებით. ვალდებულებები გადამზღვევთა წინაშე შეფასებულია შესაბამისი პოლისებიდან და გადაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. გადახდილი პრემია და ანაზღაურებული მოთხოვნები წარმოდგენილია მთლიანი (ბრუტო) თანხებით.

გაუფასურების გადახედვა ხდება ყველა გადაზღვევის აქტივზე, გაუფასურების ნიშნების წარმოშობისას. გადაზღვევის მოთხოვნების გაუფასურება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ობიექტური საფუძველი, რომ ჯგუფი ვერ მიიღებს თანხას აღნიშნული სახელშეკრულებო მოთხოვნიდან და შესაძლებელია თანხის სარწმუნოდ განსაზღვრა.

(ათას ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### **სადაზღვევო ვალდებულებები**

##### *ზოგადი სადაზღვევო ვალდებულებები*

ზოგადი სადაზღვევო სახელშეკრულებო ვალდებულებები გამომდინარეობს იმ სავარაუდო მოთხოვნების მაქსიმალური ღირებულებიდან, რომლებიც წარმოიშვა, მაგრამ არ დაფარულა ანგარიშგების თარიღისათვის, იმისდა მიუხედავად, გაცხადებულია ისინი, თუ არა, ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ხარჯებთან ერთად და ამოღების მოსალოდნელი თანხით შემცირების გათვალისწინებით. გარკვეული ტიპის ზოგადი სადაზღვევო მოთხოვნების შეტყობინება და ანაზღაურება შესაძლოა მნიშვნელოვნად დაგვიანდეს. ძირითადად ეს ეხება პასუხისმგებლობის დაზღვევას და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საქმიანობას, ამიტომ მაქსიმალური ღირებულება შესაძლოა არ იყოს ზუსტად განსაზღვრული ანგარიშგების თარიღისათვის.

##### *გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვები*

მოზიდული პრემიების წილი, მათ შორის შუამავლებისათვის გადასახდელი საკომისიო, რომელიც განეკუთვნება შესაბამის პერიოდებს, გადავადებულია, როგორც გამოუმუშავებელი პრემია. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება შეტანილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, რათა მოგება აღიარებულ იქნას რისკის პერიოდში, ან ანუიტეტის შემთხვევაში, მომავალი გადახდების განმავლობაში.

##### *ვალდებულების ადეკვატურობის შემოწმება*

ანგარიშგების ყოველი თარიღით ხორციელდება ვალდებულების ადეკვატურობის შემოწმება გამოუმუშავებელი პრემიების ადეკვატურობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი გადავადებული შექენის ღირებულების გათვალისწინებით. შემოწმებისას გამოიყენება სამომავლო საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასება, მოთხოვნების ანაზღაურების და პოლისის აღმინისტრირების ხარჯები, ისევე როგორც, საინვესტიციო შემოსავალი აღნიშნული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად არსებული აქტივებიდან. ნებისმიერი არაადეკვატურობა ერიცხება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას რისკის რეზერვის შექმნის გზით.

#### **რეზერვები**

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია წარსული მოვლენიდან გამომდინარე მიმდინარე თუ მოსალოდნელი იურიდიული ვალდებულება და სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად, ასევე შესაძლებელია ვალდებულების თანხის სარწმუნოდ განსაზღვრა.

ბალანსგარეშე ვალდებულებებზე წარმოქმნილი დანაკარგების რისკის რეზერვები ფასდება რეგულარულად ამ ვალდებულებებზე წარსურში წარმოქმნილი ფაქტობრივი დანაკარგების საფუძველზე.

#### **საპენსიო და სხვა ვალდებულებები თანამშრომელთა წინაშე**

ჯგუფს გააჩნია სახელმწიფო საპენსიო სქემისგან დამოუკიდებელი საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამა. ბანკის განსაზღვრული შენატანის მქონე საპენსიო პროგრამა მოიცავს ძირითადად სრულ განაკვეთზე მყოფ თანამშრომლებს. ჯგუფი იღებს შენატანებს თავისი თანამშრომლებისგან. როდესაც თანამშრომელი მიაღწევს საპენსიო ასაკს, ხდება დაგროვილი შენატანების თანამშრომლისთვის გადახდა მასთანვე შეთანხმებული განრიგის შესაბამისად. დაგროვილი შენატანები გადანაწილებულია თანამშრომლის მიერ დაგროვილი თანხის მიღების პერიოდზე.

#### **აქციებით წარმოებულ გადახდებზე დაფუძნებული გარიგებები**

(ათას ლარში)

ჯგუფის თანამშრომლები (ზედა რგოლის ხელმძღვანელების ჩათვლით) იღებენ ანაზღაურებას აქციებზე დაფუძნებული გარიგებებიდან, როდესაც თანამშრომლები ეწევიან მომსახურებას წილობრივი ინსტრუმენტების სანაცვლოდ (წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის გარიგებები).

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

*წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის გარიგებები*

თანამშრომლებთან წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის გარიგებების ფასი აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით იმ თარიღით, როდესაც მოხდა მათი მიღება.

წილობრივი ინსტრუმენტებით წარმოებული გარიგებების ფასი აღრიცხულია შესაბამისი კაპიტალის ზრდასთან ერთად, იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა/ვალდებულებების შერულება. ეს პერიოდი სრულდება მაშინ, როდესაც შესაბამისი თანამშრომელი მთლიანად უფლებამოსილია მიიღოს პრემია ("ძალაში შესვლის თარიღი"). ძალაში შესვლის თარიღისათვის, ყოველ საბალანსო წელს აღიარებული წილობრივი ინსტრუმენტებით წარმოებული გარიგებების მთლიანი ხარჯი დამოკიდებულია ძალაში ყოფნის მთლიანი პერიოდის გასვლასა და წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შეფასებაზე. მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული ხარჯი თუ შემოსავალი წარმოადგენს მთლიანი ხარჯის ცვლილებას პერიოდის დასაწყისიდან ბოლომდე.

ძალაში შესვლამდე არ ხდება პრემიის ხარჯის აღიარება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უფლებამოსილების მინიჭება დამოკიდებულია საბაზრო პირობებზე (საქართველოს ბანკის ჰოლდინგის აქციების ფასთან მიბმული პირობა), გათვალისწინებით იმისა, რომ ყველა დანარჩენი პირობა შესრულებულია. ეს შემთხვევა მიიჩნევა უფლებამოსილების მინიჭებად, მიუხედავად იმისა, დაკმაყოფილებულია თუ არა საბაზრო პირობები.

როდესაც წილობრივი ინსტრუმენტებით წარმოებულ ანგარიშსწორებაზე დაფუძნებული პრემიების პირობები იცვლება, მინიმალური ხარჯის აღიარება ხდება იმ სახით, თითქოს არ მომხდარიყოს პირობების ცვლილება. გარდა ამისა, ხარჯის აღიარება ხდება ნებისმიერი კორექტირებისათვის, რომელიც ზრდის აქციებით წარმოებულ გადახდებზე დაფუძნებული გარიგებების მთლიან სამართლიან ღირებულებას ან სხვაგვარად წარმოადგენს თანამშრომლის სარგებელს მოდიფიკაციის თარიღით.

როდესაც ხდება წილობრივი ინსტრუმენტებით გაცემული პრემიის გაუქმება, ის ძალაში შესულად მიიჩნევა გაუქმების თარიღით, ხოლო ნებისმიერი პრემიის ხარჯის იმ ნაწილის აღიარება, რომლის აღიარებაც ჯერ არ მომხდარა ხდება მყისიერად. თუმცა, თუ გაუქმებულ პრემიას ჩაენაცვლება ახალი, რომელიც გადაცემის თარიღისათვის აღწერილია, როგორც ჩანაცვლების პრემია, ძველი და ახალი პრემიები მოიაზრება თავდაპირველი პრემიის კორექტირებებად, როგორც აღწერილია წინა აბზაცში.

#### **სააქციო კაპიტალი**

*სააქციო კაპიტალი*

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. გარე ხარჯები, პირდაპირ დაკავშირებული ახალი აქციების გამოშვებასთან საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციების გარდა, აღრიცხულია როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღრიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

*სახაზინო აქციები:*

როდესაც ჯგუფი ან მისი შვილობილი კომპანია შეიძენს ჯგუფის წილს, გადახდილი საფასური, დაკავშირებულ წმინდა საოპერაციო თანხებთან ერთად გამოიქვითება მთლიანი კაპიტალიდან, როგორც გამოსყიდული აქციები მათ გაუქმებამდე ან ხელახლა გამოშვებამდე. როდესაც შემდგომში ხდება ასეთი აქციების გაყიდვა ან ხელახლა გამოშვება, ხდება მიღებული საფასურის

(ათას ლარში)

ჩართვა კაპიტალში. გამოსყიდული აქციები ასახულია საშუალო შეწონილი ღირებულებით. დამატებით შეტანილ კაპიტალთან მიმართებაში პრემიების კორექტირებით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### *ღივიდენდები*

ღივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გაცხადებულია ანგარიშგების თარიღამდე ან თარიღით. ღივიდენდები გაცხადებულია, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გაცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

#### *პირობითი ვალდებულებები*

პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არ ხდება, თუ არ არსებობს ვალდებულებების დასაფარი რესურსების გადინების საფუძველი, რომელიც შეიძლება სარწმუნოდ შეფასდეს. პირობითი აქტივების აღიარება არ ხდება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა ხდება მათი გაცხადება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

#### *შემოსავლისა და ხარჯის აღიარება*

*შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი ხანობად შეფასება. შემდეგი კონკრეტული კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს ვიდრე მოხდება შემოსავლის აღიარება.*

#### *პროცენტი და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი*

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის და სავაჭროდ გამოზნული ან გასაყიდად არსებული საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდებისათვის, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომლითაც ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი დაფარვებისა/შემოსავლისა ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის თუ უფრო მოკლე პერიოდის მანძილზე სადაც ეს შესაძლებელია, ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ზუსტი დისკონტირება. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას ან ზღვრულ ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ჯგუფი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღიარდება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ახალ საბალანსო ღირებულებაზე.

#### *შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან*

ჯგუფი იღებს შემოსავალს გასამრჯელოდან და საკომისიოდან მომხმარებელთათვის გაწეული სხვადასხვა მომსახურებიდან, რაც შესაძლოა დაიყოს შემდეგ ორ კატეგორიად:



(ათას ლარში)

*შემოსავალი გარკვეული პერიოდის მანძილზე გაწეული მომსახურებიდან მიღებული გასამრჯელოდან*

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავალი გარკვეული პერიოდის მანძილზე გაწეული მომსახურებიდან მიღებული გასამრჯელოდან დარიცხულია იმავე პერიოდში. აღნიშნული გასამრჯელო მოიცავს შემოსავალს საკომისიოდან, მომსახურებისა და სხვა ხარჯებს. სასესხო ვალდებულებები, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება და სხვა საკრედიტო თანხები გადავადებულია (ყველა ზღვრულ ხარჯთან ერთად) და აღიარებულია, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

*შემოსავალი საოპერაციო მომსახურებიდან მიღებული გასამრჯელოდან*

მესამე მხარეთა ოპერაციებთან (როგორებიცაა აქციების თუ სხვა ფასიანი ქაღალდების შექენა თუ საწარმოს შესყიდვა ან გაყიდვა) დაკავშირებული მოლაპარაკებებიდან ან მოლაპარაკებებში მონაწილეობიდან მიღებული თანხები აღრიცხულია გარიგების დასრულებისას. გარიგებებთან დაკავშირებული გასამრჯელო ან გასამრჯელოს კომპონენტები, აღიარებულია შესაბამისი პირობების შესრულების შემდგომ.

*შემოსავალი დივიდენდებიდან*

შემოსავლის აღიარება ხდება ჯგუფის მიერ თანხის მიღების უფლების წარმოშობისას.

*სადაზღვევო პრემიის შემოსავალი*

დაზღვევის საქმიანობისთვის, სიცოცხლის დაზღვევის გარდა, მოზიდული პრემიების აღიარება ხდება პოლისის ამოქმედებიდან, ხოლო გამომუშავება პროპორციულად, შესაბამისი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში. საბალანსო ანგარიშგებაში შეტანილი სავარაუდო მოზიდული პრემიების თანხები, რომელთა მიღებაც ჯერ არ მომხდარა, შეფასებულია წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და ჩართულია გამომუშავებულ პრემიებში.

*სადაზღვევო მოთხოვნები*

საერთო სადაზღვევო მოთხოვნები მოიცავს წლის განმავლობაში წარმოქმნილ მოთხოვნებთან დაკავშირებულ ყველა დანაკარგს, იქნება ის განცხადებული თუ არა, მათ შორის სატრანსპორტო ხარჯს და ნარჩენი ღირებულების შემცირებას და სხვა ანაზღაურებას, ასევე წინა წლებიდან დასაფარი მოთხოვნების ნებისმიერ კორექტირებას.

*ჯანდაცვიდან შემოსავალი*

ჯანდაცვიდან შემოსავალი აღიარებულია, იმ პირობით, რომ შესაძლოა ეკონომიკური სარგებელი მიმართული იყოს ჯგუფისკენ და შემოსავალი საიმედოდ გაიზომება დარიცხვის საფუძველზე. თუ მომსახურებები გაწეულია განსხვავებული საქონლის ან მომსახურებების სანაცვლოდ, შემოსავალი იზომება მიღებული საქონლის ან გაწეული მომსახურებების სამართლიანი ღირებულებით, რომელიც კორექტირებულია გადარიცხული ნებისმიერი ფულის ან ფულის ეკვივალენტის მოცულობით. თუ მიღებული საქონლის ან მომსახურებების სამართლიანი ღირებულება ვერ იზომება საიმედოდ, შემოსავალი იზომება დათმობილი საქონლის ან მომსახურებების სამართლიანი ღირებულებით, რომელიც კორექტირებულია გადარიცხული ნებისმიერი ფულის ან ფულის ეკვივალენტის მოცულობით.

*საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი*

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს დასრულებული ქონების და სხვა მზა საქონლის გაყიდვიდან შემოსავალს.

(ათას ლარში)

დასრულებული ქონების გაყიდვიდან შემოსავლის აღიარება ხდება, როცა მნიშვნელოვანი რისკები და უძრავი ქონების მფლობელობიდან სარგებელი გადაეცემა მყიდველს. მაგრამ თუ კონტრაქტის სამართლებრივი პირობები ისეთია, რომ მშენებლობა მოითხოვს დაუმთავრებელი წარმოების მყიდველისთვის უწყვეტად გადაცემას, გამოიყენება შემოსავლის აღიარების შესრულების პროცენტული წილის მეთოდი და შემოსავლის აღიარება ეტაპობრივად ხდება მშენებლობის პროცესში.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სხვა მზა საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი აღიარებულია, როდესაც საქონლის ფლობასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი გადაეცემა მყიდველს, ჩვეულებრივ საქონლის მიწოდებისას.

დაუმთავრებელი წარმოების უწყვეტად გადაცემა გამოიყენება, როცა: (ა) მყიდველი აკონტროლებს დაუმთავრებელ წარმოებას, ჩვეულებრივ მაშინ, როცა მიწა, რომელზეც მშენებლობა მიმდინარეობს, საბოლოო მფლობელის საკუთებაშია და (ბ) არსებულ მდგომარეობაში დაუმთავრებელი წარმოების ფლობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადაეცემა მყიდველს, როგორც მიმდინარე მშენებლობა ჩვეულებრივ მაშინ, როცა მყიდველს არ შეუძლია დასრულებული ქონების ჯგუფისთვის უკან დაბრუნება. ასეთ სიტუაციებში, დასრულებული სამუშაოს პროცენტული მანვენებელი იზომება საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე წარმოქმნილი ხარჯების მოსალოდნელ წარმოსაქმნელ მთლიან ხარჯებთან შეფადების საფუძველზე.

#### რეკლასიფიკაცია

ჯანდაცვის საქმიანობის მზარდი მოცულობისა და საქონლის გაყიდვიდან სხვა შემოსავლების გამო, მოგება-ზარალის ანგარიშგებას დაემატება ცალკე თავი ამ შემოსავლებისა და შესაბამისი პირდაპირი ხარჯების შეჯამებით. ქვემოთ წარმოდგენილი რეკლასიფიკაციები განხორციელდა 2011 წლის 31 დეკემბრის და 2010 წლის 31 დეკემბრის ბოლოს კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებებში, რათა ის შესაბამისობაში იყოს 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოთხოვნებთან:

დასრულებული წელი	სათაური მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება:	როგორც აღრე იქნა		რეკლასიფიკირებული
		წარმოდგენილი	რეკლასიფიკაცია	
31 დეკემბერი 2011	ჯანდაცვიდან შემოსავალი	–	5,700	5,700
31 დეკემბერი 2011	საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი	–	22,470	22,470
31 დეკემბერი 2011	სხვა საოპერაციო შემოსავლები	29,052	(20,285)	8,767
31 დეკემბერი 2011	ჯანდაცვის მომსახურებების ხარჯები	–	(3,242)	(3,242)
31 დეკემბერი 2011	რეალიზაციის ხარჯები	–	(12,109)	(12,109)
31 დეკემბერი 2011	ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(119,111)	4,489	(114,622)
31 დეკემბერი 2011	სხვა საოპერაციო ხარჯები	(9,324)	2,977	(6,347)
31 დეკემბერი 2010	ჯანდაცვიდან შემოსავალი	–	2,208	2,208
31 დეკემბერი 2010	საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი	–	18,144	18,144
31 დეკემბერი 2010	სხვა საოპერაციო შემოსავლები	21,927	(11,302)	10,625
31 დეკემბერი 2010	ჯანდაცვის მომსახურებების ხარჯები	–	(1,632)	(1,632)
31 დეკემბერი 2010	რეალიზაციის ხარჯები	–	(9,050)	(9,050)
31 დეკემბერი 2010	ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(104,551)	666	(103,885)
31 დეკემბერი 2010	სხვა საოპერაციო ხარჯები	(61,000)	432	(60,568)
31 დეკემბერი 2010	ჯანდაცვიდან შემოსავალი	(6,253)	534	(5,719)

2011 წლის 31 დეკემბერს და 2010 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებში განხორციელებული რეკლასიფიკაციების შედეგად, 2011 წლის 31 დეკემბრითა და 2010 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებებში განხორციელდა შემდეგი სახის რეკლასიფიკაცია, რათა ის შესაბამისობაში იყოს 2012 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოთხოვნებთან:

(ათას ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დასრულებული წელი	ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება:	როგორც ადრე იქნა		
		წარმოდგენილი	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიცირებული
31 დეკემბერი 2011	მიღებული ჯანდაცვის შემოსავალი	–	5,700	5,700
31 დეკემბერი 2011	საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	–	22,470	22,470
31 დეკემბერი 2011	სხვა მიღებული საოპერაციო შემოსავალი (გადახდილი ხარჯები)	35,551	(20,285)	15,266
31 დეკემბერი 2011	გადახდილი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები	–	(3,242)	(3,242)
31 დეკემბერი 2011	საქონლის რეალიზაციის ხარჯები	–	(12,109)	(12,109)
31 დეკემბერი 2011	გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(100,500)	4,489	(96,011)
31 დეკემბერი 2011	გადახდილი საერთო, ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	(72,246)	2,977	(69,269)
31 დეკემბერი 2010	ჯანდაცვიდან მიღებული შემოსავალი	–	2,208	2,208
31 დეკემბერი 2010	საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	–	18,144	18,144
31 დეკემბერი 2010	სხვა მიღებული საოპერაციო შემოსავალი (გადახდილი ხარჯები)	9,483	(11,302)	(1,819)
31 დეკემბერი 2010	გადახდილი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები	–	(1,632)	(1,632)
31 დეკემბერი 2010	საქონლის რეალიზაციის ხარჯები	–	(9,050)	(9,050)
31 დეკემბერი 2010	გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(93,870)	666	(93,204)
31 დეკემბერი 2010	გადახდილი საერთო, ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	(71,872)	966	(70,906)

#### სამუშაო და საანგარიშგებო ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ჯგუფის საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს. ბანკის სამუშაო ვალუტაა აშშ დოლარი. ჯგუფის ყველა საწარმო განაზღვრავს საკუთარ სამუშაო ვალუტას, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხები იზომება აღნიშნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება სებ-ის გაცვლითი კურსით ანგარიშგების დღეს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულადი საშუალებების კონვერტაცია, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულების დადგენის მიზნით, ხდება გაცვლითი კურსით, რომელიც არსებობს თავდაპირველი ოპერაციის დღეს. არაფულადი საშუალებები, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

(ათას ლარში)

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს, ჩართულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მოგებას გამოკლებული ზარალის მუხლში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2012 წლის 31 დეკემბრის, 2011 წლის 31 დეკემბრის და 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო:

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

	ლარი/ GBP	ლარი/ USD	ლარი/ EUR	ლარი/ UAH (10)	Lari to BYR (10,000)
31 დეკემბერი 2012	2.6653	1.6567	2.1825	2.0727	1.9811
31 დეკემბერი 2011	2.5776	1.6703	2.1614	2.0905	2.0004
31 დეკემბერი 2010	2.7393	1.7728	2.3500	2.2272	5.9093

ანგარიშგების დღეს, იმ საწარმოთა აქტივები და ვალდებულებები, რომელთა სამუშაო ვალუტა განსხვავდება ჯგუფის საანგარიშგებო ვალუტისგან, კონვერტირდება ქართულ ლარში, ანგარიშგების დღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით და მათი მოგება-ზარალის ანგარიშგება გადაყვანილია წლის საშუალო შეწონილი კურსით. კონვერტაციიდან გამომდინარე საკურსო სხვაობები პირდაპირ ასახულია კაპიტალის ცალკეულ კომპონენტად. იმ შვილობილი კომპანიის თუ მოკავშირე საწარმოს გადაცემისას, რომლის სამუშაო ვალუტა განსხვავდება ჯგუფის საანგარიშგებო ვალუტისგან, კაპიტალში აღიარებული გადავადებული მთლიანი თანხა, ამ კონკრეტულ საწარმოსთან მიამრთებაში აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

უცხოური ოპერაციის შექენიდან წარმოშობილი ნებისმიერი გუდვილი და შექენისას აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების სამართლიანი ღირებულებით ნებისმიერი კორექტირება მოიაზრება უცხოური ოპერაციების აქტივებად და ვალდებულებებად და გადაყვანილია საბოლოო კურსით.

#### ჰიპერინფლაციის ანგარიში

2011 წლის 1 იანვრიდან, ბელარუსის ეკონომიკა ბასს 29-ის - „ფინანსური ანგარიშგება ჰიპერინფლაციურ ქვეყნებში“ („ბასს 29“) - კრიტერიუმის მიხედვით ითვლება ჰიპერინფლაციურ ქვეყნად. ეს სტანდარტი მოითხოვს, რომ ჰიპერინფლაციური ქვეყნის ვალუტაში მომზადებული ფინანსური ანგარიშები წარმოდგენილი იყოს ანგარიშგების თარიღისთვის ერთეული ვალუტის მაჩვენებლის თვალსაზრისით.

ბასს 29-ის გამოყენების დროს, ბანკის შვილობილი კომპანიები ბელორუსში სს „ბელორუსკი ნაროდნი ბანკ“ და შპს BNB ლიზინგი, გამოიყენეს ბელარუსის სამომხმარებლო ფასის ინდექსიდან მიღებულ კონვერსიის ფაქტორებს, რომელიც გამოაქვეყნა ბელარუსის რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა. სამომხმარებლო ფასის ინდექსი ექვსწლიანი პერიოდისთვის და შესაბამისი ფაქტორები მას შემდეგ, რაც ბელორუსი აღარ ითვლებოდა ჰიპერინფლაციურად 2006 წლის 1 იანვარს, შემდეგია:

წელი	ინდექსი, %	კონვერტაციის ფაქტორი
2006	106.6	390.2
2007	112.1	348.5
2008	113.3	307.2
2009	110.1	279.6
2010	109.9	254.1
2011	208.7	121.8
2012	121.8	100.0

ყველა შემოსავალი და დანახარჯი, მოგება-ზარალი გადაანგარიშდა შესაბამისი კორექტირების ფაქტორების გამოყენებით. ფულადი აქტივები და ვალდებულებები არ გადაანგარიშდა, რადგან

(ათას ლარში)

ისინი უკვე არის გამოსატული ფულად ერთეულში ანგარიშგების თარიღისთვის. არაფულადი აქტივები და ვალდებულებები (მუსლები, რომლებიც არ არის უკვე გამოსატული ფულად ერთეულში ანგარიშგების თარიღისთვის) გადაანგარიშდა შესაბამისი ინდექსის გამოყენებით. ბანკის წმინდა არაფულად პოზიციაზე ინფლაციის გავლენა შეტანილია მოგება-ზარალის ანგარიშში, როგორც წმინდა არასაოპერაციო ხარჯი.

(ათას ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ჯერ ძალაში არ შესულა მიმდინარე ანგარიშგების პერიოდში და ჯგუფს ადრე არ მიუღია:

#### *ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“*

ფასს 9 ასახავს ბასსს-ს სამუშაოს პირველ ეტაპს და ანაცვლებს ბასს 39-ს. ის გამოიყენება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაში, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 39-ში. ეს სტანდარტი თავდაპირველად ძალაში შევიდა 2013 წლის 1 იანვარს ან ამ დღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდისთვის, მაგრამ 2011 წლის დეკემბერში გამოშვებული *ფასს 9 სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღი და გადაძვარი აღიარების* ცვლილებამ, გადაიტანა ძალაში შევლის თარიღი 2015 წლის 1 იანვარს. მომდევნო ეტაპებზე ბასსს განახორციელებს პეჯირების აღრიცხვას და ფინანსური აქტივების გაუფასურებას. ჯგუფი შეაჯამებს ფასს 9-ის პირველი ეტაპის მიღების ეფექტს სხვა ეტაპებთან ერთად, რათა წარმოდგენილი იყოს ყოველისმომცველი სურათი.

2009 წლის ნოემბერში ბასსს-მ გამოსცა ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები. ეს სტანდარტი ფაქტობრივად ჩაანაცვლებს ბასს 39 ფინანსურ ინსტრუმენტებს: აღიარება და შეფასება. ფასს 9 ძალაში შევა 2015 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული ფინანსური წლებისთვის. ორგანიზაციებს შეუძლიათ აღიარონ მისი პირველი ეტაპი 2009 წლის 31 დეკემბერს ან შემდეგ დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის. ფასს 9-ის პირველი ეტაპი წარმოვიდგენს ახალ მოთხოვნებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებით. კერძოდ, შემდგომი შეფასებისთვის ყველა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ამორტიზაციის ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულების მოგების ან ზარალის საშუალებით იმ სავაჭროდ არსებული სააქციონერო ინსტრუმენტების უპირობო ოფციონით, რომელიც უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგების საშუალებით. ჯგუფი ამჟამად აფასებს ახალი სტანდარტის მიღების გავლენას და განიხილავს პირველი გამოყენების თარიღს.

#### *ფასს 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები“*

ფასს 10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები წარმოვიდგენს ერთიან კონსოლიდირებულ მოდელს, რომელიც განმარტავს კონტროლს, როგორც ყველა ტიპის საწარმოსთვის კონსოლიდაციის საფუძველს. ამ სტანდარტში მითითებულია იმ სიტუაციებთან დაკავშირებული მოთხოვნები, როცა კონტროლის შეფასება რთულია, მათ შორის შემთხვევები, რომელიც მოიცავს პოტენციურ ხმის მიცემის უფლებებს, საგენტო ურთიერთობებს, კონკრეტული აქტივების კონტროლს და გარემოებს, რომელშიც ხმის მიცემის უფლება არ არის დომინანტური ფაქტორი კონტროლის განსაზღვრის დროს. გარდა ამისა ფასს 10 წარმოვიდგენს კონკრეტულ გამოყენების სახელმძღვანელოს საწარმოთა შორის ურთიერთობისთვის. ეს სტანდარტი ასევე მოიცავს საბუღალტრო აღრიცხვის მოთხოვნებს და კონსოლიდაციის პროცედურებს, რომლებიც უცვლელად არის გადატანილი ბასს 27-დან. ფასს 10 ენაცვლება SIC 12-ში – კონსოლიდაცია-სპეციალური დანიშნულების ორგანიზაციები – და ბასს 27 - კონსოლიდირებული და ცალკე ფინანსური ანგარიშებში წარმოდგენილ მოთხოვნებს და ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლისთვის. ნებართულია უფრო ადრე გამოყენებაც. ამჟამად ჯგუფი აფასებს ფასს 10-ს მიღების ზეგავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ვალდებულებების შესრულებაზე.

#### *ფასს 11 „ერთობლივი ვარიეტები“*

ფასს 11-ის მიხედვით ამოღებულია ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების ანგარიშის ვარიანტი პროპორციული კონსოლიდაციის გამოყენებით. სანაცვლოდ ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოები, რომლებიც აკმაყოფილებენ ერთობლივი საწარმოების განსაზღვრებას, უნდა იყოს აღიცილებილი მონაწილეობის მეთოდის გამოყენებით.

(ათას ლარში)

ფასს 11 ასევე განსაზღვრავს პროპორციულ კონსოლიდაციას, როგორც ერთობლივი ღონისძიებების აღრიცხვის მეთოდს. ფასს 11 ანერებს ბასს 31 -ს „ერთობლივ საწარმოებში“

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

წილი” - და SIC 13-ს „ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოები – მეწარმეების მიერ არაფულადი შენატანები” და ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლისთვის. ნებართულია უფრო ადრე გამოყენებაც. ამჟამად ჯგუფი აფასებს ფასს 11-ს მიღების ზეგავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ვალდებულებების შესრულებაზე.

*ფასს 12 „სხვა საწარმოებში მონაწილეობის განმარტებითი შენიშვნები”*

ფასს 12 სხვა საწარმოებში მონაწილეობის განმარტებითი შენიშვნები, რომელიც გამოიცა 2011 წლის მაისში არის ახალი და ყოვლისმომცველი სტანდარტი, რომელიც ასახავს სხვა საწარმოებში, მათ შორის შვილობილ კომპანიებში, ერთობლივ საწარმოებში, დაკავშირებულ ორგანიზაციებში და არაკონსოლიდირებულ სტრუქტურულ საწარმოებში წილის ყველა ფორმასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. ფასს 12 ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლისთვის. ნებართულია უფრო ადრე გამოყენებაც. ამ სტანდარტის მიღება საჭიროებს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშებში ახალი მონაცემების შეტანას, მაგრამ ზეგავლენას არ მოახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ვალდებულებების შესრულებაზე.

*ფასს 13 „სამართლიანი ღირებულების შეფასება”*

ფასს 13 სამართლიანი ღირებულების შეფასება განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულების შეფასების ერთიანი ფასს-ის სტრუქტურაში მითითებულ სამართლიან ღირებულებას. ეს სტანდარტი გამოიყენება, როცა სხვა ფასს-ები მოითხოვს ან უშეუბნებლად სამართლიანი ღირებულების შეფასებებს. ის არ ითვალისწინებს რაიმე ახალი მოთხოვნების შემოღებას სამართლიანი ღირებულების აქტივის ან ვალდებულების გასაზომად, ცვლის რაც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით ფასს-ებში ან განსაზღვრავს, თუ როგორც უნდა მოხდეს ცვლილებები სამართლიან ღირებულებაში, ფასს 13 ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლისთვის. ნებართულია უფრო ადრე გამოყენებაც. ამ სტანდარტის მიღება საჭიროებს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშებში ახალი მონაცემების შეტანას, მაგრამ ზეგავლენას არ მოახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ვალდებულებების შესრულებაზე.

*ბასს 27 (შესწორებული 2011წ) „ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება”*

ახალი ფასს 10-ისა და ფასს 12-ის შემდეგ, ის რაც დარჩება ბასს 27-ში, შემოიფარგლება მხოლოდ შვილობილი კომპანიების, ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოებისა და დაკავშირებული საწარმოების ცალკე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საბუღალტრო აღრიცხვით. ეს ცვლილება ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვარს დაწყებულ წლიურ პერიოდებთან დაკავშირებით.

*ბასს 28 (2011 წ. შესწორებული) „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში”*

ახალი ფასს 11-ისა და ფასს 12-ის შემდეგ, ბასს 28-ის სახელი შეიცვალა სახელწოდებით „ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საწარმოებში”, და აღწერს მეკავშირე საწარმოების გარდა ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციებს წილობრივი მონაწილეობის მეთოდის გამოყენებით. ეს ცვლილება ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვარს დაწყებულ წლიურ პერიოდებთან დაკავშირებით.

*ბასს 19-ის „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები” ცვლილებები*

ფაისკ-მა გამოაქვეყნა ბასს 19-ის „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები“- ცვლილებები, რომელიც ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლისთვის, და რომლის მიზანია მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანოს თანამშრომლისთვის ანაზღაურების სისტემის აღრიცხვაში, მათ შორის საპენსიო გეგმის აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებების გადავადებული აღიარებისთვის ოფციონის ამოღება (ცნობილი როგორც „დერეფნის პრინციპი“). გარდა ამისა, ეს ცვლილებები შეზღუდავს მოგება-ზარალში აღიარებულ წმინდა საპენსიო აქტივის (ვალდებულების) ცვლილებებს საპროცენტო შემოსავლამდე (დანახარჯამდე) და

(ათას ლარში)

მომსახურებების ხარჯებამდე. ჯგუფი ვარაუდობს, რომ ეს ცვლილებები ზეგავლენას არ მოახდენს მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

*ბასს 1, „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“, სხვა სრულ შემოსავალთან დაკავშირებული ცვლილებები*

ბასს 1-ის ეს შესწორება ცვლის სხვა სრულ მოგება-ზარალის ანგარიშში წარმოდგენილი პუნქტების დაჯგუფებას. პუნქტები, რომელთა რეკლასიფიცირება შეიძლება მოხდეს მოგება-ზარალში მომავალში (მაგალითად, გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებზე წმინდა მოგება ან ზარალი) წარმოდგენილი იქნება ცალკე იმ პუნქტებთან დაკავშირებით, რომელთა რეკლასიფიკაცია არასდროს მოხდება (მაგალითად, შენობების გადაფასება). ეს ცვლილებები გავლენას ახდენს მხოლოდ პრეზენტაციაზე და არა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მის მიერ ვალდებულებების შესრულებაზე. ეს ცვლილება ძალაში შედის 2012 წლის 1 იანვარს დაწყებულ წლიურ პერიოდებთან დაკავშირებით.

*ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“, აღირების გაუქმების ცვლილებები*

ეს ცვლილებები მოითხოვს, რომ საწარმომ წარმოადგინოს ინფორმაცია ჩათვლისა და დაკავშირებულ დონისძიებებზე უფლებების შესახებ (მაგ. უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულება). ასეთი აღიარება მიაწვდის მომხმარებლებს ინფორმაციას, რომელიც გამოიყენება საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ურთიერთჩათვლის გავლენის შეფასებაში. ახალი აღიარება საჭიროა ყველა აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელთა ჩარიცხვა ხდება ბასს 32 *ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა*. ეს აღიარებები ასევე გამოიყენება აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ, რომლებიც ექვემდებარება განხორციელებად მთავარ ურთიერთჩათვლის ან მგავს შეთანხმებებს, მიუხედავად იმისა ისინი ჩათვლილია ბასს 32-ის შესაბამისად თუ არა. ეს ცვლილებები გავლენას არ მოახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ან ვალდებულებების შესრულებაზე და ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვარს დაწყებულ წლიურ პერიოდებთან დაკავშირებით.

*ბასს 32-ის ცვლილება – ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჩათვლა*

ეს ცვლილება აზუსტებს „ამჟამად აქვს ჩათვლის განხორციელების კანონიერი უფლება“ მნიშვნელობას. ის აუცილებელი იქნება ანგარიშსწორების პროცედურებისა და იურიდიული დოკუმენტაციის შემოწმებით ჯგუფზე გავლენის შესაფასებლად, რათა გარანტირებული იყოს ის, რომ ჩათვლა შესაძლებელი გახდეს ისეთ შემთხვევებშიც, როცა საქმე ეხება წარსულს. გარკვეულ შემთხვევებში, ჩათვლა შეიძლება აღარ მოხდეს. სხვა შემთხვევებში, კონტრაქტები შეიძლება ხელახლა შეთანხმდეს. მოთხოვნა, რომ ჩათვლის უფლება ხელმისაწვდომი იყოს ურთიერთჩათვლის შეთანხმების ყველა კონტრაგენტისთვის, შეიძლება იყოს იმ კონტრაქტების პრობლემა, რომელშიც მხოლოდ ერთი მხარეს აქვს უფლება განხორციელოს ჩათვლა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

